EPS represents the amount of net profit to each ordinary shares. Dividend Cover ratio shows the proportion of profit for the year available for distribution to shareholders that has been paid and what proportion will be retained in the business to finance future growth. Dividend yield is the return a shareholder is currently expecting on the company's shares. For this ratio dividend per share is taken as the dividend for the previous year, and Ex-div means that share price does not include the right to the most recent dividend. Price/Earning (PE) ratio is a company's current share price to the earnings per share. High PE ratio indicates strong shareholder confidence in the company's profit growth, and lower rate –lower confidence.

Finally, we should make an overall analyze of the company's financial statements based on Profitability, Short-term solvency and liquidity, Long-term solvency and stability, Efficiency and Investors' ratios. Discussing the company's trading and profitability, from the data above calculated is seems that ROCE has increased 5 %, this is maybe due to the decrease in the interest expenses – 21000 (2011) less 16300 (2012)=4700 GEL that generally decreases the profit.

What is more, Gross profit margin by 5.86 % (28.35-22.49) comparing 2011 and 2010 years. However 90 % of sales revenue are sales on credit terms, this has not distorted the profit , it balances the increase in price and also increase in profit margin. This company has problems in collection of receivables, it has to change its credit policy, not allowing to wait for 35 days in 2011, when it was only 21 days in 2010. This situation has not resulted in critical liquidity problems, because management decided to finance the company not by debt but by equity –Leverage is increased by 3.16 %, and Gearing and Debt ratio were reduced in 2011 by 3.16 % (13.69-10.53) and by 7% (61%-54%). Referring working capital ratio- Inventory turnover period has decreased from 21 days to 10 days. The reason can be writing off obsolete inventory-quick ratio was increased in 2011 -1.11 or the management has found other best suppliers. Discussing Investors' ratios - EPS (7.5-4=3.5) , Dividend yield(0.67-0,71=0.04) and dividend cover(from 2 to three times) are increased in 2012 . The company has distributed dividends, but the Price / Earning ratio is reduced from 0.75 to 0.47 in 2011. Thus shareholders' confidence has decreased because truly dividend were distributed 3 times but it is under question whether the company will be able to do so in future, there are liquidity, receivables collection problems that influence on the entity's reputation.

Thus, from overall financial analyze of the above mentioned company's activity is neither in best situation, nor in bad. It is low-g geared, gearing and debt ratios are not critical and it can take a cheap credit for financing the entity's activity . But the company's existence and activity will be at risk if this situation continues for a long time .The management has to change its strategy, policy considering different factors.

Finally, as we see analyzing of the company's profitability, solvency and liquidity play a important role in evaluating entity's performance. In summary, financial statements and other key performance indicators should be prepared on a regular and consistent basis and compared with prior periods or average industry data. Monitoring performance using successive quarterly or annual accounts can show trends that otherwise might not be apparent.



**ტურიზმის ინდუსტრიის ინვესტიციებით
მართვის პოლიტიკის ფორმირება**

ვარლამ რამიშვილი.

სტუ და შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი.

ნატალია ჯიჯავაძე

შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის მაგისტრანტი

ტურიზმის ინდუსტრიის სფეროში ინვესტიციური რეგიონული პოლიტიკა ტურისტული პროდუქტის მიწოდების რეგულირების ერთ-ერთ გზაა. ტურიზმის ინდუსტრიაში რეგიონის დონეზე სახელმწიფო რეგულირების სისტემის განვითარება, ტურიზმის ინდუსტრიის მართვა ხორციელდება აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი ქვედანაყოფების მიერ. როგორც წესი ასეთი ქვედანაყოფების გადასაჭრელ საკითხს წარმოადგენს:

- რეგიონული პროგრამების დამუშავება, რომელშიც ჩართული იქნება ტურიზმის ინდუსტრიაში ინვესტიციების მოზიდვის პროგრამები და საერთაშორისო თანამშრომლობის კოორდინაცია ამ სფეროში;

- ქვეყნის ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის კოორდინაცია რეგიონში ტურიზმის განვითარების და ტურისტული საქმიანობის ორგანიზაციისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნის მიზნით და ტურიზმის მატერიალურ - ტექნიკური ბაზის ხელშეწყობისათვის;

- საერთაშორისო ტურისტული საქმიანობის ლიცენზირება და ტურისტული სანარმოს მიერ ლიცენზირების პირობების შესრულების კონტროლი;

- რეგიონის ტურისტული მომსახურების ბაზარზე ტურისტული პროდუქტის წინ ნაწევა.

რეგიონებში იგრძნობა საშუალო კლასის სასტუმროების უკმარისობა. პრიმიტიულად მოწყობილი იაფი სასტუმროები სთავაზობენ მხოლოდ მომსახურების მცირე ნაკრებს, მომსახურების ხარისხი კი არ პასუხობს მსოფლიო სტანდარტებს. ასეთი სასტუმროები მოითხოვენ სწრაფ რეკონსტრუქციას. უკიდურესად დაძაბულ რეჟიმში ფუნქციონირებს საგზაო ქსელი, არ არის დამაკმაყოფილებელი გზის საფარი. მოდერნიზაციას საჭიროებს ტურიზმის ინდუსტრიის სხვა ელემენტებიც. რეგიონული ტურიზმის ინდუსტრიის განავითარების დაბალი დონე საჭიროებს შესაბამის ინვესტიციურ დაბანდებებს. მაგრამ რეგიონული ეკონომიკის ამ სფეროში ინვესტიციების დაბანდებისათვის აუცილებელია შეიქმნას ხელსაყრელი პირობები; საჭიროა შესაბამისი სამართლებრივი გარანტიები როგორც უცხოელი, ისე ადგილობრივი ინვესტორებისათვის. ამ მიმართულებით შეგვიძლია მოვიყვანოთ რამოდენიმე მაგალითი, კერძოდ:

რეგიონებში გააქტიურდა საკანონმდებლო საქმიანობა იმ სფეროში, სადაც ქვეყნის დონეზე პროგრესი არ შეიმჩნევა. შემოღებულია ორმაგი მოქმედების მექანიზმი, ადგილობრივი ადმინისტრაციის იაფი საკრედიტო ფონდი და კომერციული ბანკების გარანტიები (ფართო საერთაშორისო კავშირებით) ცალკეული საინვესტიციო პროგრამების მიხედვით. ზოგან მიღებულია საკუთარი კანონი კერძო უცხოური ინვესტიციების დაცვის შესახებ, მენარმებს უფლება აქვთ მიცემული შეიძინონ სანარმოო დანიშნულების მიწის ნაკვეთები კერძო საკუთრებაში.

ხელისუფლებას მიეცა მნიშვნელოვანი შესაძლებლობა დაბევრის სფეროში. ისინი ფართოდ იყენებენ გადასახადებისაგან დროებით გათავისუფლებას ახალი ინვესტიციების განხორციელების სანაცვლოდ.

არსებითი წინსვლაა ადგილობრივი და რეგიონული ადმინის-

ტრაციის უცხოელ მენარმეებთან ურთიერთობის პრაქტიკაში. ადგილობრივი ხელისუფალნი იწყებენ პრაგმატულ მიდგომას, თხოულობენ კონკრეტული ტექნიკური პროექტების წარმოდგენას.

სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ქრონიკული უკმარისობა რეგიონების საინვესტიციო მხარდაჭერისათვის, სათანადო ყურადღების უქონლობა რეგიონების საჭიროებებზე, შეთანხმებული საინვესტიციო პროგრამების შეუსრულებლობა რეგიონებს აიძულებს ეძებონ ინვესტიციების მოზიდვის საკუთარი გზები.

ზოგიერთ სახელმწიფოში პრაქტიკულად შემოიღეს საკანონმდებლო ნორმატიულ - სამართლებრივი საფუძვლები, რომლებიც მიმართულია მოცემულ რეგიონში ინვესტიციური კლიმატის გაუმჯობესებისაკენ. ფართოდ გავრცელდა ისეთი ღონისძიებები, როგორცაა განსაზღვრულ პირობებში ადგილობრივ ბიუჯეტში მოგების და ქონების გადასახადებისაგან განთავისუფლება, გადასახადების და სარენტო გადასახდელების გადახდის გადავადება, უპროცენტო კრედიტის (სესხის) მიცემა და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების გარანტიები და ა.შ.

მაგალითად, ტურისტებისათვის მიმზიდველია ისტორიული ძეგლებით მდიდარი მხარის მონახულება დასვენების შესაძლებლობებით. რეგიონის ადმინისტრაცია ღებულობს ზომებს რეგიონის სოციალურ - ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფისათვის. რეგიონში ეკონომიკური პრობლემის გადაწყვეტის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია მეურნეობის სხვადასხვა სფეროში ინვესტიციების დაბანდება.

ინვესტიციების მოზიდვისათვის ზოგიერთ რეგიონში ატარებენ ისეთ კანონებს, რომლებიც აუმჯობესებენ საინვესტიციო კლიმატს, მარკეტინგული საქმიანობით დაკავებულ საწარმოებს და ბანკებს ნაწილობრივი ათავისუფლებენ მოგების გადასახადისაგან.

კანონი გარანტიაა ინვესტორისთვის არ გააუარესოს მათი საქმიანობის სამართლებრივი პირობები. ამ კანონში გათვალისწინებულია ინვესტორისთვის არსებული თამამის ყველა წესები. ასეთი კანონები რეგიონულ დონეზე წარმოადგენენ სახელმწიფო კანონმდებლობას ამ სფეროში.

ხელსაყრელი გარემო პირობების ზრდა კარგ ნიადაგს აძლევს ინვესტორებს დაბანდებისათვის იმ დარგებში, რომლებიც იზიდავენ უცხოელ და ადგილობრივ ინვესტორებს (მაგალითად, კვება, სატყეო მეურნეობა, კავშირგაბმულობა შესაძლებლობას იძლევა გამოშვებულიქნას კონკურენტუნარიანი პროდუქცია) .ე.ი. ეს ის დარგებია, რომლებიც წარმოადგენენ ტურიზმის ინდუსტრიის არსებით ელემენტებს. აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, რომ უცხოური კაპიტალის დაბანდებების ძირითადი ნაწილი - პირდაპირი ინვესტიციებია..

ზოგიერთ რეგიონში მოქმედი კანონები ინვესტიციური საქმიანობის შესახებ გარანტიას აძლევს ფირმებს გათავისუფლდნენ მოგების გადასახადისაგან, იურიდიული პირები ქონების გადასახადისაგან, აგრეთვე იმ გადასახადისაგან, რომლებიც მიმართულია ტერიტორიულ საგზაო ფონდში ადრე შექმნილი სანარმოების ძირითადი ფონდების მოდერნიზაციისთვის რეგიონის საინვესტიციო პროგრამის ფარგლებში. ქონებაზე გადასახადი იურიდიულ პირებს ერიცხებათ ახალი მოდერნიზებული ძირითადი სანარმო ფონდების ღირებულების გამოვლენით.

რეგიონული ხელისუფლების მიერ ინვესტიციების მოზიდვასთან დაკავშირებით განხორციელებული ღონისძიებების საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნები: ჯერ ერთი - რეგიონები, რომლებიც იზიდავენ აქტიურად უცხოურ ინვესტიციებს, ქვეყნის დიდი ნაწილია. მეორე - ადგილებზე კარგად ესმით, რომ ახლანდელ სიტუაციაში უცხოური კაპიტალის მიზიდვა წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის და ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ მთავარ ინსტრუმენტს.

ექსპერტთა მოსაზრებით, რეგიონის სანარმოთა და კომპანიათა დირექტორებმა, პირველ რიგში, უნდა შეამსუბუქონ საგადასახადო რეჟიმი იმ ფირმებისათვის, რომლებიც აბანდებენ თავიანთ კაპიტალს რეგიონების სოციალურ - ეკონომიკურ განვითარებაში, მის ინფრასტრუქტურაში, რაც რეგიონულ ბაზარს საშუალებას მისცემს გახდეს უფრო კონკურენტუნარიანი, რეგიონები კი - უფრო სასურველი სამამულო და უცხოელი ტურისტებისათვის.

გარკვეულ სპეციალისტთა მოსაზრებით რეგიონული საინვეს-

ტიციო სტრატეგია საშუალო ვადიან პერიოდში უნდა განვითარდეს შემდეგი მიმართულებებით:

1. ინვესტიციური პროცესების თანმიმდევრული დეცენტრალიზაცია, რომელიც დაეფუძნება საკუთრების მრავალფორმიანობას და საწარმოთა საკუთარი დაბანდების როლის ამალლებას, ანტიმონოპოლიური საქმიანობის წარმართვას სახელმწიფოს მხრიდან;

2. საწარმოთა სახელმწიფო მხარდაჭერა ცენტრალიზებული ინვესტიციების ხარჯზე. კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების დაუბრუნებელი საბიუჯეტო სუბსიდირებიდან სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების დაბრუნებადობის და გადახდის პრინციპებზე გადასვლა. დაუბრუნებელი ბიუჯეტური დაფინანსება შეიძლება განხორციელდეს გამონაკლის შემთხვევაში, სოციალურად აუცილებელი მნიშვნელობის ობიექტების მიმართ, რომელთაც აქვთ არაკომერციული ხასიათი და არ აქვთ საკუთარი დაგროვების წყარო;

3. სახელმწიფო ბიუჯეტის მიერ ინვესტიციებზე განეული როგორც დაუბრუნებელი, ისე დაბრუნებადი ფინანსური სახსრების მიზნობრივ ხარჯვაზე კონტროლის გაძლიერება;

4. ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდების განსაზღვრული გადაადგილება საწარმოო დანიშნულების საინვესტიციო პროექტების დაფინანსებაზე;

5. ინვესტიციური პროექტების ერთობლივი (წილობრივი) სახელმწიფო-კომერციული დაფინანსების პრაქტიკის მნიშვნელოვანი გაფართოება, მ.შ. კაპიტალის მოზიდვა სხვა ქვეყნებიდან;

6. ცენტრალიზებული (საკრედიტო) რესურსების ნაწილის გამოყენება განსაკუთრებით ეფექტიან და სწრაფად გამოსყიდვის მქონე პროექტების და მცირე ბიზნესის ობიექტების რეალიზებაზე, მათი დარგობრივი კუთვნილების და საკუთრების ფორმების მიუხედავად, წარმოების სტრუქტურულ-ტექნოლოგიური გარდაქმნის დაჩქარება;

7. ინვესტიციების ბიუჯეტური დაფინანსების კომპენსაციის შესაძლებელი შემცირება ეკონომიკაში დაზღვევის გაფართოების გზით და სახელმწიფოს მიერ ინვესტიციური პროექტების მხარდაჭერა-გარანტიებით (გარანტია შეიძლება იყოს კერძო ინ-

ვესტორის მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდები), რითაც უზრუნველყოფილი იქნება წარმოებაში კაპიტალურ დაბანდებათა ხელსაყრელობა და ამ დაბანდებათა დაკავშირებული რისკის შემცირება;

8. წვრილი მეანაბრეების და მოსახლეობის დანაზოგების სტიმულირებისათვის ნორმატიულ-სამართლებრივი და ეკონომიკური პირობების შექმნა სხვადასხვა ფინანსურ ინსტიტუტების, მ.შ. ნდობით საინვესტიციო ფონდებში, კომერციულ ბანკებში, საპენსიო ფონდებში, სადაზღვევო კომპანიებში და ზოგადი სახსრების შემდგომი ტრანსფორმაციისათვის ეკონომიკის რეალურ სექტორში ინვესტირებისათვის. ინვესტიციური საქმიანობის ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის სრულყოფის ღონისძიებაში უნდა ჩაირთოს საგადასახადო და არასაგადასახადო გადასახადისგან ბიუჯეტში გადახდისგან გათავისუფლება, ტურისტული ინდუსტრიის განვითარებისათვის განხორციელებული ინვესტიციური დაბანდებები.

9. პრივატიზაციის განხორციელებით ინვესტორების ფინანსური ბაზის მნიშვნელოვანი გაფართოება, მ.შ. რესურსების საინვესტიციო სფეროს მიკუთვნებით, პრივატიზებულ საწარმოთა აქციების მეორადი ემისიით, შეზღუდვების გაუქმებით საკუთრების შექმნაზე და მასზე კონტროლი დამოუკიდებელი მსხვილი ინვესტორების მხრიდან, შესაძლო გაფართოებისათვის სესხის გამოყენება. საკრედიტო-საბანკო სისტემაში ასევე აქტუალურია მუნიციპალური საკუთრების დაგირავების პრაქტიკა.



К МЕТОДИКЕ УСТАНОВЛЕНИЯ РЕШЕНИЯ ХОЗЯЙСТВЕННЫХ ЗАДАЧ ПРОИЗВОДСТВА НЕФТИ

Намик Исаев
Докторант ГГУ

Производство нефти является одним из сложных материальных производств. При производстве нефтяных работ приходится разрешить многочисленные хозяйственные задачи. Эти задачи нам представляются при организации, прогнозировании и повышении эффективности нефтяных работ.

Все нефтяные работы осуществляются под влиянием факторов, резко различающиеся своими экономическими природами. В этой связи успешное решение хозяйственных задач во многом зависит от того, насколько реально будет учтен удельный вес влияния факторов, в результате чего формируется та или иная хозяйственная задача. Поэтому, решение хозяйственной задачи целесообразно установить на основе удельных вес влияния факторов. В этой статье мы приводим решение двух задач.

Рассматриваемая первая задача. Установление решение технико-экономических проблем. Эти проблемы многочисленные, среди них мы выбираем проблемы экономической эффективности. Эти проблемы следующие: устранение влияния факторных комплексов, образованных характерными чертами, присущими нефтяной промышленности; повышение качества скважины; обеспечение правильных пропорций развития нефтегазовых отраслей; устранение влияния препятствия на производственную деятельность. Решение этих про-

блем устанавливаем на основе удельные веса: η_0 ; η_k ; η_n ; η_q и областью действий самих влияний K и K_1 [1,2].

При составлении расчета, цифровые значения параметров в нем вводятся при самой формулировке.

1. Расчет η_0 . Можно пользоваться формулой

$$\eta_0 = (\beta\beta_0\beta_1\gamma) - \phi/20, \quad (1)$$

где $\beta = \eta\gamma$; $\beta_0 = (\beta_1 + \beta)/2$; $\beta_1 = \beta(L/L_0)$

Здесь: η – удельное влияние известных нам факторов

γ – удельный вес влияния факторов, действующих при производстве

нефти;

L_0 – глубина бурения скважин на нефть, при достижении которой функционируют факторы с удельным весом η ;

L – искомая глубина скважин, м.

Значение параметров приведены в литературе (2), они нами принимаются аксиометрически: $\eta=0.571$; $\gamma=0.75$; $L=2000$ м; $L_0=1500$ м; $\phi=0.060$. Поставляя их в формулах, приведенных выше (1) получим: $\beta=0.4283$; $\beta_1=0.5714$; $\beta_0=0.50$, отсюда $\eta_0=0.0618$ единиц.

2. Расчет η_k . Производится с помощью выражения следующего вида

$$\eta_k = \eta_q(\eta_A + \eta_B + \eta_V)/3 \quad (2)$$

Здесь: η_q – состояние качество скважины, доля един.

η_A – удельный вес влияния факторов, созданных при бурении скважин;

η_B – удельный вес влияния факторов, созданных при опробовании скважин, доли един.;

η_V – удельный вес влияния факторов, созданных при освоении скважины, доля един.

Согласно [1,2] $\eta_q=0.0349$; $\eta_A=0.18$; $\eta_B=0.047$; $\eta_V=0.75$; и тогда получим

$\eta_k=0.0114$ един.

3. Расчет η_n . Можно пользоваться формулой

$$\eta_n = ((\xi_1 + \xi_2 + \xi_3)/3)\eta + \xi_1 \quad (3)$$

Здесь: $(\xi_1 + \xi_2 + \xi_3)/3 = \eta_q$ – среднее значение влияния препятствия,

противостояния действиям организации работ. Согласно (1) $\xi_1=0.003$;
 $\xi_2=0.054$; $\xi_3=0.039$; $\eta_1=0.032$, $\eta_2=0.0213$ един.

4. Расчет η_4 . Ведется с помощью формулы

$$\eta_4 = \eta_{cp} \eta_1 + \gamma_4, \text{ где } \eta_{cp} = (\eta_1 + \eta_2 + \eta_3 + \eta_4) / 4$$

Согласно (2) имеет $\gamma=0.004$; $\gamma_2=0.010$; $\gamma_3=0.010$; $\gamma_4=0.006$;
 $\eta_{cp}=0.0075$; $\eta_4=0.0103$ единиц.

5. Расчет K . Можно использовать выражения

$$K = \beta_1 \beta_2 \beta_3 \gamma + \eta_4 / 3$$

Цифровыми значениями параметров получим $K=0.1398$ единиц.

6. Расчет K_1 . Ведется на основе следующей формулы

$$K_1 = K + \phi / 3 = 0.1398 + 0.020 = 0.1598 \text{ един.}$$

Таким образом, имеем: $\eta_1=0.0618$; $\eta_2=0.0114$; $\eta_3=0.0213$;

$$\eta_4=0.0103; K_1=0.1598; K=0.1398 \text{ ед.}$$

Используя эти удельные веса, устанавливает решение искомых проблем.

Суммируем удельные веса влияния факторов.

$$\tau = \eta_1 + \eta_2 + \eta_3 + \eta_4 = 0.0618 + 0.0114 + 0.0213 + 0.0103 = 0.1048$$

Преодоления влияния неизвестных нам факторов. Уровень влияния известных нам факторов должно быть $K=0.1398$ един. или $K = \tau + \eta_4$.

Тогда находим $\eta_4 = K - \tau = 0.1398 - 0.1048 = 0.035$ един. Этот удельный вес преодолит. На основе этих цифровых значений параметров устанавливаем:

буровые и нефтегазодобывающие управления способны преодолит влияния $\eta_1 + \eta_2$; производственное объединение $\eta_1 + \eta_2 + \eta_3$; нефтяная компания $\eta_1 + \eta_2 + \eta_3 + \eta_4 = 0.1048$ един. Однако 0.035 един. не устраняется.

Проблемы до конца не решены. Чтобы проблемы были разрешены, должен быть устранен $K_1=0.1598$ един. удельный вес влияния факторов. При таком подходе обеспечивается экономическая эффективность производства нефтяных работ. Устранение влияний должно быть установлено такими отношениями, как $\Delta t / T$ (отношение экономии времени на календарное время бурения скважин); $\Delta Q / Q$ (отношение прироста нефти к общему объему добытой нефти). Арифме-

тическими действиями над влияниями имеет

$$\Delta \varepsilon = K1 - (\eta_0 + \eta_k + \eta_n + \eta_g) + 0.056 = 0.1608 - 0.1598 = 0.0010$$

То есть экономический эффект можно увеличить на 0.10 процента и не больше.

Рассматриваемая вторая задача. Повышение нефтяной науки после достижения настоящего коэффициента отдачи пластов.

Установлено, что при значении этого коэффициента $K_e = 0.49$ един. Уровень развития нефтяной науки составляет 77.8%. Дальнейшее развития нефтяной науки после достижения $K_e = 0.49$ един. нужно установить следующим выражением

$$\Delta H = K1 - E$$

Здесь: $E = z \times \eta$; $z = \beta_2 \times K1$; $\beta_2 = (\sin \alpha + \Delta K_e) / 2$; $\Delta K_e = K_{ep} - K_e$
где $\sin \alpha$ – синус угла искривления ствола скважины;

K_{ep} – уровень коэффициента отдачи пласта, после достижения $K_e = 0.49$ един.

Согласно литературы (1,2) $K_{ep} = E = 77.8\%$. Нами установлено, что уровень нефтяной науки можно увеличит до 91.3%. Как происходило это развитие наглядно демонстрируется следующим примером.

Периоды развития нефтяной промышленности:

- I. VII тысячелетие до н.э. и I век нашей эры – t время.
- II. I – XIII века – t1 время.
- III. XIII – XIX века – t2 время.
- IV. XX век – t3 время.
- V. XXI век – t4 время.

Ускорение научно-технического прогресса (K) по периодам следующее

I период – $K_0 = 0$ (t времени); II период – $K_2 = 0.31$; III период – $K_2 = 0.67$;

IV период – $K_3 = 1.14$; V период – $K_4 = 1.03$

Эти цифры и периоды установлены и обоснованы на основе 62 литературы и источников, где отмечены количество и качество преодоления влияний, бурение скважин техническими способами; способы эксплуатации скважин, а также искусственного воздействия на пласты и на призабойную зону скважин. Определим уровень разви-

тия нефтяной науки по изложенным периодам.

При параметре $K_2=0.31$ уровень развития нефтяной науки составляет

$$\varepsilon_1 = K_1/K_3 = 0.31/1.14 = 0.272 \text{ един. или } 27.2\%$$

При $K_2=0.67$ получим

$$\varepsilon_2 = K_2/K_3 = 0.67/1.14 = 0.588 \text{ един. или } 58.8\%$$

При $K_4=1.03$ имеем:

$$\varepsilon_3 = K_4/K_3 = 1.03/1.14 = 0.904 \text{ един. или } 90.4\%$$

Как видно из этих данных ускорение роста K_1 до K_4 нефтяные знания увеличились на 63.2 процента ($K_4 - K_1$). В итоге приходим к выводу, что в течении 2008 лет нефтяная наука возвышается до 77.8%. Ежегодный шаг развития составляет

$$A = (77.8/2008) \times 1.14 = 0.044 \text{ един. или } 4.4\%$$

Отсюда возникает вопрос 90.4% уровня за сколько лет достигнут своего уровня.

$$T = (\varepsilon_3/A \times K_4) \times 100 = (90.4/4.4 \times 1.03) \times 100 = 1994.7 \text{ лет}$$

Этот результат означает, что 90.4 процентный уровень развития нефтяной науки обеспечивается в течении 2 тысяча лет.

Составляем пропорцию

$$2008 \rightarrow 728$$

$$X \rightarrow 90.4$$

$$X = (2008 \times 90.4) / (77.8 \times 1.03) = 2265.2 \text{ год}$$

значит 90.4 процентный уровень достигнет только за 2265.2 года.

Литература

1. Исаев А.С. Экономика нефтяной и газовой промышленности, 2008
2. Исаев А.С. Влияния действующие в материальном производстве или новые требования технико-экономического развития, 2010.
3. Исаев А.С. Основы организации производства, 2010.

**ჯანმრთელობის დაცვის მატერიალურ-ტექნიკური
ბაზა - მოსახლეობის ჯანმრთელობის
უპირველესი გარანტი**

ყანა ბალახაშვილი
თსუ დოქტორანტი

ჯანმრთელობის დაცვის დარგში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ათვლა იმ შენობა-ნაგებობებიდან და მათში არსებული საწოლების რაოდენობიდან იწყება, რომლებიც ამ მიზნით არის აგებული. პირველ რიგში ესენი არიან საავადმყოფოები და ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებები.

2010 წლის მონაცემებით საქართველოში არსებობდა 259 საავადმყოფო და 1691 ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულება, ანუ 2005 წელთან შედარებით 17 და 568 ერთეულით მეტი შესაბამისად. ამავე წელს საავადმყოფოებში საწოლების რაოდენობა იყო – 13400, ხოლო ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ დაწესებულებათა სიმძლავრე ცვლაში (იგულისხმება ავადმყოფთა მიღება ცვლაში) შეადგენდა – 87500. 2005 წელთან შედარებით ერთიც და მეორეც შემცირებულია: საწოლების რიცხვი – 3700 ერთეულით, ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ დაწესებულებათა სიმძლავრე – 4600-ით. ამავე პერიოდში 115400 ერთეულით შემცირებულია (7738700-დან 7623300-მდე) ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ დაწესებულებებში წლის განმავლობაში ექიმთან მიმართების რიცხვი [1, გვ. 82].

ეს ფაქტი, რომ მოსახლეობის ავადობის შემცირებით იყოს გამოწვეული, ამაზე უკეთესი რა იქნებოდა, მაგრამ ეს ასე არ არის. იგივე წყარო გვამცნობს, რომ პირველად დადგენილი დიაგნოზით რეგისტრირებული დაავადებების რიცხოვნობა 2005-2010 წლებში 695200-დან 1170100-მდე არის გაზრდილი [1, გვ. 85]. მაშასადამე, დაავადებულთა რიცხვი გაიზარდა 474900 კაცით, ანუ 68,3%-ით, საავადმყოფოებში საწოლების რიცხვი და ამბულატორიულ-პო-

ლიკლინიკურ დაწესებულებათა ცვლის სიმძლავრე კი შემცირდა შესაბამისად 21,7 და 5 პროცენტით. ექიმთან მიმართების ასეთ პირობებში, ჯანდაცვის მომსახურების რომელ ხარისხზე და მატერიალურ-ტექნიკური რესურსით რომელ უზრუნველყოფაზე შეიძლება ლაპარაკი. ამასთან, რეგისტრირებული ავადმყოფები მხოლოდ ნაწილია საქართველოში არსებულ დაავადებულთა საერთო რაოდენობისა. მათი დიდი ნაწილი უკიდურესი სიღატაკის გამო არ აკითხავს ექიმს და შეიძლება ითქვას რომ სიცოცხლე, ეს უდიდესი ღვთიური განძი, აღარაფრად უღირს... შედეგად შემცირდა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა (2005 წ. – 74 წელი, 2009 წ. – 73,6 წელი) და გაიზარდა მოკვადობის რიცხვი ათას კაცზე (2005 წ. – 9,3, 2009 წ. – 10,6).

მოსახლეობის გაღატაკებასთან ერთად ეს მდგომარეობა გამოიწვია ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სახელმწიფოს არასწორმა, სიტუაციისადმი შეუსაბამო პოლიტიკის გატარებამ. ჯანდაცვაში გატარებული რეფორმა ითვალისწინებს ჰოსპიტალური სექტორის და პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებების რეორგანიზაციას, მთავრობის მიერ 2007 წელს წამოწყებული ჰოსპიტალური სექტორის რეფორმის ეროვნული პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს „100 ახალი საავადმყოფოს“ მშენებლობას ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. საქართველოს მთავრობამ ამ საავადმყოფოების მშენებლობისთვის 2-წლიანი ვადა დაადგინა, მაშინ როდესაც ევროსტანდარტით ამისთვის 5 წელია დადგენილი. ინვესტორთა შერჩევაც იმის მიხედვით ხდება, ვინ უფრო სწრაფად ააშენებს ობიექტს. ეს კი უარყოფითად მოქმედებს საავადმყოფოების აშენების და აღჭურვის ხარისხზე. გამოდის რომ ამ საკითხში საქართველოს მთავრობა მთლიანად უგულებელყოფს ევროპულ სტანდარტებს.

მეტიც, ევროკავშირის ქვეყნებში საავადმყოფოების და პირველადი ჯანდაცვის მნიშვნელოვანი ნაწილი წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას, ხოლო საქართველოში მათი აბსოლუტური უმრავლესობა – 95%-ზე მეტი ექვემდებარება გასხვისებას. გამოდის რომ საქართველოს მთავრობა ჯანდაცვაში გატარებულ რეფორმებს მოიაზრებს მხოლოდ სამედიცინო დაწესებულებების პრივატიზაციის კუთხით. ამას ის უარყოფითი მხარე აქვს, რომ

რადგან სამედიცინო დანესებულების მშენებლობა ინვესტორს მეტად ძვირი უჯდება (100 სანოლიანი საავადმყოფო საშუალოდ 40-50 მლნ ლარი), შედეგად მისი ამოქმედების შემდეგ კერძო მფლობელი მეტად გაადვირებს სამედიცინო მომსახურების ფასებს.

ამის გარდა, კიდევ უფრო საგანგაშოა ის მდგომარეობა, რომ ახალი სამედიცინო დანესებულებები მხოლოდ 7 წლის განმავლობაში იმუშავენ პროფილით, შემდეგ კი მფლობელებს უფლება ეძლევათ გამოიყენონ ისინი ნებისმიერი სხვა მიზნით. რადგან 200 სანოლზე ნაკლების მქონე საავადმყოფოები არ არიან მომგებიანი, უნდა ვიფიქროთ, რომ იმ 100 ახალი საავადმყოფოდან 2-3 თუ იქნება 200 სანოლიანი, დანარჩენი იქნება არამომგებიანი და რალა თქმა უნდა 7 წლის შემდეგ მისი მეპატრონე მასში ან რესტორანს გახსნის ან სახინკლეს. მაშინ იბადება კითხვა, რა ქნას იმ რეგიონის (თუ რაიონის) მოსახლეობამ, სადაც ასეთ ფაქტებს ექნება ადგილი, ვინ გაუნევეს მათ სამედიცინო მომსახურებას?

სათქმელია ისიც, რომ ახალი საავადმყოფოების აშენებით, სანოლების რაოდენობა კი არ იზრდება, არამედ მცირდება. ახალი პროექტი ითვალისწინებს 7800 სანოლს, 2010 წელს კი საქართველოში იყო 13400 სანოლი. სანოლთა რაოდენობის ასეთი – 58%-იანი შემცირება პირდაპირპროპორციულად შეამცირებს სისტემაში მომუშავე სამედიცინო პერსონალს. 2010 წლის სტატისტიკით ჯანდაცვის სისტემაში დასაქმებულია 21200 ექიმი და 19300 საშუალო სამედიცინო პერსონალი [1, გვ. 82]. ჩვენი გამოთვლით მოხდება მათი რიცხვის ამდენითვე შემცირება, რაც რიცხობრივად შეადგენს 23490 კაცს.

მეცნიერები სვამენ კითხვას, თუ რატომ დაიგეგმა საქართველოში 100 ახალი საავადმყოფოს და არა 134 ან 63 საავადმყოფოს აშენება, რა მონაცემების საფუძველზე მოხდა ჰოსპიტალური სექტორის განთავსება 7800 სანოლზე და არა 6000 ან 13000 სანოლზე, როგორ დადგინდა სანოლთა ფონდები და ა. შ. [2]. ჩვენი აზრით, ეს პოლიტიკა დაეფუძნა ქართველ დემოგრაფ ანზორ თოთაძის კონცეფციას, რომელიც თავის ნაშრომში – „საქართველოს მოსახლეობა მეორე და მესამე ათასწლეულის მიჯნაზე“ – წერს: „XXI საუკუნის დასაწყისში საქართველოს მოსახლეობას ყველაზე ნაკ-

ლები რაოდენობით დასჭირდება საავადმყოფო საწოლები, რადგან ამ პერიოდში ქვეყანას ყველაზე მცირე რაოდენობით ეყოლება ხანშიშესულები – ისინი ხომ მეორე მსოფლიო ომის დროს დაიბადნენ, როდესაც შობადობის დონე დაბალი იყო. შემდეგ ათასწლეულებში კი მოთხოვნილება საავადმყოფო საწოლებზე მკვეთრად გაიზრდება, რადგან დიდად მოიმატებს ხანდაზმული მოსახლეობის რაოდენობა“. მეცნიერის ამ კოცეფციას ადასტურებს სტატისტიკა, რომელიც გვამცნობს, რომ 1940-1949 წლებში საქართველოში მართლაც დაბადებულა მხოლოდ 659021 კაცი (ახლა მათი ასაკი 61-70 წლის დიაპაზონით მერყეობს), 1950-1959 წ.წ.-ში 903263 კაცი, 1960-1963 წ.წ.-ში – 959815 კაცი და ა. შ. [3, გვ. 11]. თუ საქართველოს მთავრობის მიერ წამოწყებული ჯანდაცვის რეფორმა, რომელიც ჰოსპიტალურ სექტორში საწოლთა რაოდენობის 7800-მდე დაყვანას ითვალისწინებს, მართლაც ამ კონცეფციას ეფუძნებოდა, მაშინ სწორედ ამით უნდა იყოს იგი დასაბუთებული. თუმცაღა, ეს არგუმენტი მხოლოდ XXI-ე საუკუნის საწყისი წლებისთვის არის გამართლებული, შემდეგ ათწლეულებში კი ხანშიშესულთა რიცხვი, რომელთაც პოტენციურ ავადმყოფებად თვლის მეცნიერი ანზორ თოთაძე, მნიშვნელოვნად მატულობს, საავადმყოფოთა და მათში საწოლთა რაოდენობა კი საქართველოს მთავრობას არათუ არა აქვს დაგეგმილი გაზრდილად, პირიქით, 7 წლის შემდეგ იგი კერძო საავადმყოფოების მფლობელებს უფლებას აძლევს შეიცვალოს პროფილი მათი თვალთახედვით სახელმწიფოსგან ყოველგვარი შეთანხმების გარეშე. ჩვენი ვარაუდით, ეს ასეც მოხდება და ის 7800 საწოლიც შემცირდება, რაც ამჟამად არის დაგეგმილი.

მეორე და მნიშვნელოვანი კიდეც ის არის, რომ ავადმყოფობენ არა მხოლოდ ხანშიშესულები, არამედ ახალგაზრდებიც. საქართველოში არსებული უკიდურესი უმუშევრობის, უკიდურესი სიღატაკის, არაჯანმრთელი ცხოვრების წესის, დაძაბული ფსიქოლოგიური ფონის და სხვათა გამო, ავადმყოფობა ჩვენდა სამწუხაროდ, “გაახალგაზრდავდა”. ამდენად, საქართველოს მთავრობის პოლიტიკა საავადმყოფოების და ამბულატორია-პოლიკლინიკის დაწესებულებების და მათში საწოლების (და სიმძლავრის) რაოდენობის შემცირებისკენ კი არ უნდა იყოს მიმართული, არამედ მათი

გაზრდისკენ. ამასთან სახელმწიფო თავის თავზე უნდა იღებდეს სამედიცინო დაწესებულებათა დაფინანსებას, ღარიბი მოსახლეობის მკურნალობის ხარჯებს (მთლიანად) და ეს უნდა გაგრძელდეს მანამ, სანამ ქვეყანა გამოვა კრიზისიდან, გაჩნდება სამუშაო ადგილები, ამალღდება მოსახლეობის ცხოვრების დონე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული, თბ., 2011, გვ. 82.
2. http://www.euro.who.int/Document/E88202_r.pdf
3. კ. ჯაყელი, გ. ხაჭაპურიძე, ჯანმრთელობის დაცვის ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვანი მიმართულებები მსოფლიოს გამოცდილების გათვალისწინებით, ჟ. „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ბიულეტენი, №65, თებერვალი, 2002 წ., გვ. 11.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის სისტემა და პორტალი

ბესიკ ფუტყარაძე,
რევაზ ქელიძე
სტუ დოქტორანტი

საქართველოს ეკონომიკისათვის ტრანსპორტი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია, რასაც მისი გეოპოლიტიკური მდებარეობა განაპირობებს. აქ ტრანსპორტის თითქმის ყველა დარგის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობებია, ამიტომაც ბოლო დროს მნიშვნელოვნად განვითარდა ტრანსპორტის ისეთი სახეც კი, როგორიცაა მილსადენი. დიდი პერსპექტივებია ისეთი ტრადიციული სახეების განვითარებისათვის, როგორიცაა რკინიგზა და საავტომობილო ტრანსპორტი. ამასთან მიუხედავად გარკვეული სიძნელეებისა შესაძლებელია საზღვაო ტრანსპორტის განვითარება და საქართველოს საზღვაო პორტებში დასამუშავებელი ტვირთების მოცულობის ზრდაც.

2010 წელს საქართველოს მთლიანმა შიდა პროდუქტმა შეადგინა 20743 მლნ. ლარი, ხოლო გამოშვებული პროდუქციის მოცულობამ 30467 მლნ. ლარი¹, აქედან ტრანსპორტზე მოდიოდა 2351 მლნ ლარი, ანუ 8.9 პროცენტი, რაც მნიშვნელოვანი მაჩვენებელია და საქართველოს ეკონომიკის საერთო ჩამორჩენილობის ფონზე სავსებით შესაძლებელია ტრანსპორტის გაცილებით მაღალი ტემპებით განვითარება, ვიდრე ეკონომიკისა საერთოდ.

საქართველოს ტრანსპორტის თვისობრივ შემადგენლობაზე შეიძლება ვიმსჯელოთ ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, რომლის მონაცემებიც ბოლო წლებისათვის წარმოდგენილია ცხრილში

მოყვანილი ციფრობრივი მაჩვენებლები მიუთითებს საქართველოს ტრანსპორტის სტაგნაციას 2007-2010 წლების განმავლობაში. 2006 წ-ს საერთო სატვირთო გადაზიდვებმა შეადგინა 49946 მლნ. ტონა, რაც ხუთი წლის განმავლობაში თითქმის არ შეცვლილა და 2010 წლისათვის მხოლოდ 48911 მლნ.

¹ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული. თბილისი, 2011 წ. გვ. 116.

ტონით განისაზღვრა. მნიშვნელოვანი კლება დაფიქსირდა რკინიგზის და საზღვაო ტრანსპორტზე. აღნიშნული გამოწვეულია სხვადასხვა მიზეზებით.

ცხრილი 1. ტვირთის გადაზიდვა ტრანსპორტის სახეების მიხედვით (მლნ. ტონა)¹

წლები	სულ	მათ შორის			
		სარკინ.	საავტომ	საზღვაო	საჰაერო
2006	49946	22643	27261	40.4	1,6
2007	49830	22230	27561	37,9	1,1
2008	49058	21181	27864	11,9	0,7
2009	45275	17104	28170	-	0,4
2010	48911	19930	28480	-	0,5

უპირველესად უნდა აღინიშნოს რკინიგზის ტრანსპორტის არაეფექტური მენეჯმენტი და სატარიფო პოლიტიკის ნაკლოვანებები, ამასთან მნიშვნელოვანი პრობლემებია რკინიგზის ტექნიკური აღჭურვილობის მხრივაც, როს გამოც სირქარე სარკინიგზო გადაზიდვებზე დაბალია. რაც შეეხება საზღვაო ტრანსპორტს, აქ ძალიან ცუდი მდგომარეობა, რაც, უპირველესად, ხელოვნურად საზღვაო ტრანსპორტის გაკოტრებამ და საზღვაო სატრანსპორტო საშუალებების გასხვისებამ გამოიწვია. მიხედავად იმისა, რომ თითქმის საქართველოს ყველა მოქალაქე ხვდებოდა რა მდგომარეობა იყო საზღვაო ტრანსპორტში, მას ხელისუფლება არ აღუდგა წინ და მივიღეთ ის, რომ საქართველო, რომელიც საზღვაო ქვეყანაა, დარჩა საზღვაო ტრანსპორტის გარეშე, მაშინ როცა არასაზღვაო ქვეყნებსაც კი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, საზღვაო ფლოტი ჰყავს. მაგალითად, მეზობელ აზერბეიჯანს და უზბეკეთს.

საქართველოს ტრანსპორტი უნდა განვიხილოთ ერთიანი სა-

¹ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული. თბილისი, 2011 წ. გვ.195.

ტრანსპორტო სისტემის კომპლექსში, რამდენადაც სხვადასხვა ტრანსპორტის წარმატებული ფუნქციონირება შეუძლებელია ავტონომიურად. მაგალითად რკინიგზის ტვირთბრუნვა შეუძლებელია საზღვაო პორტებში ტვირთების დამუშავების ზრდის გარეშე და პირიქით-საზღვაო პორტები ვერ შეძლებენ ტვირთების დამუშავებას, თუ მას ისინი არ მიენოდა იგივე რკინიგზით და საზღვაო ტრანსპორტით.

საქართველო “ტრასეკას” ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელია, მაგრამ მრავლად მოიძებნება სხვა ალტერნატიული მიმართულებები რუსეთის, უკრაინის და თურქეთის გავლით. მიუხედავად იმისა, აღნიშნული სატრანსპორტო მიმართულებებიდან საქართველოზე გამავალი მარშრუტი ყველაზე მოკლე და შესაბამისად ყველაზე ხელსაყრელიც უნდა იყოს კასპიის ზღვის აუზიდან ევროპაში მიმავალი ტვირთებისათვის. საქართველოზე გამავალი მარშრუტი მაინც ვერ უნევეს ჯეროვან კონკურენციას ალტერნატიულ მიმართულებებს. მაგალითად, აზერბეიჯანის სატრანზიტო ტვირთების გადაზიდვის მოცულობა 200 მლნ. ტონას აჭარბებს, მაშინ როცა საქართველოს საერთო ტვირთბრუნვა მხოლოდ მისი მეოთხედია.¹ აზერბეიჯანის სატრანზიტო ტვირთების მხოლოდ ნაწილს- 26.8 მლნ. ტონა ტვირთს, “ევროპა-კავკასია-აზია” ატარებს, რომელიც საქართველოზე გაივლის. ასევე განუწყვეტლივ იზრდება ტვირთების გადაზიდვის მოცულობები რუსეთსა, უკრაინასა და თურქეთში, ჩვენთან კი ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მდგომარეობა თითქმის უცვლელია. საქართველომ უნდა შეძლოს სატრანსპორტო გადაზიდვების კონკურენციის პირობებში ღირსეული ადგილის დამკვიდრება, წინააღმდეგ შემთხვევაში თამაშგარე მდგომარეობაში აღმოვჩნდებით, რაც კარგს არაფერს უქადის საქართველოს ეკონომიკას საერთოდ. ამ მიმართებით საყურადღებოა “მარაბდა-ახალქალაქი-კარნახის” რკინიგზის მშენებლობის საკითხი, რომლის არსებობის საჭიროება ამ ბოლო დროს საგულისხმო კითხვებს ბადებს. გამოჩნდა მოსაზრებები აღნიშნული მიმართულების მიზანშეწონილობის შესახებ,²

1 იხ. საიტი: <http://www.newsazerbaijan.ru/economic/20110817/296270975.html>. გადამონმებულია 24.12.2012.

2 იხილეთ გაზეთი “კვირის პალიტრა”. 2012. №52. გვ.6.

რაც ჯერ ერთი დაგვიანებულია და საკითხი სამთავრობო ხელშეკრულებით კარგა ხნის წინ გადაწყდა და, მეორე მხრივ, მიგვაჩინია, რომ რკინიგზის აღნიშნული მიმართულება მნიშვნელოვნად წაადგება საქართველოს ტრანსპორტს და ეკონომიკას, ხოლო შიში იმისა, რომ საქართველოს პორტებს და ზოგადად საქართველოს “აღმოსავლეთ-დასავლეთის” მიმართულებას ტვირთები მოაკლდება-არამართებულა. ეს უკანასკნელი ბუნებრივად ყველაზე მოკლე და ყველაზე იაფი მიმართულებაა და მან უნდა უზრუნველყოს ტვირთების მოზიდვა ტვირთბრუნვის სიჩქარის გაზრდით და გადაზიდვების სიჩაფით. წინააღმდეგ შემთხვევაში ზემოთ-მოყვანილი ალტერნატიული მიმართულებები მაინც ვერ უზრუნველყოფს “დასავლეთ-აღმოსავლეთის” აუცილებელ დატვირთვას. ამავე დროს აზერბეიჯანიდან მომავალი სარკინიგზო ტვირთების თურქეთის გავლით ტრანსპორტირების შემთხვევაში სარკინიგზო გადაზიდვის მნიშვნელოვან ნაწილს-დაახლოებით 200 კმ-ს, საქართველო უზრუნველყოფს და ეს შემოსავლების მნიშვნელოვანი წყარო გახდება რკინიგზისთვის, ხოლო გზის მიმართულება და მიმდებარე ტერიტორიები ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, ხელსაყრელ გარემოში აღმოჩნდება.

“ტრასეკას” მიმართულებას ტვირთების ნაკლებობა არ ემუქრება, რასაც მრავალი ექსპერტი ადასტურებს. ა. მოროზოვის მიერ მოპოვებული ინფორმაციით¹, მოვლენების რაციონალურად განვითარების შემთხვევაში უკვე 2015 წლისათვის ტვირთბრუნვამ აზიასა და ევროპას შორის შეიძლება მიაღწიოს 2 ტრილიონ ტონას, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი შეიძლება “ტრასეკას” მიმართულებაზე იყოს მოზიდული. ამიტომაც არიან ამ პროექტის მონაწილე ქვეყნები (აზერბეიჯანი, სომხეთი, ბულგარეთი, საქართველო, ყაზახეთი, ყირგიზეთი, მოლდავეთი, რუმინეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი, თურქეთი, უზბეკეთი, უკრაინა) დარწმუნებულნი პროექტის წარმატებულად განვითარებაში. პროექტის მიერთებისადმი სურვილს გამოთქვამს ავღანეთიც და ჩინეთიც, რაც ამ ქვეყნის ტვირთების “ტრასეკას” მიმართულებაზე გადმომისამართებაზე მიუთითებს. ქვემოთ მოყვანილ რუქაზე ნითელი

1 იხ. ინტერნეტგაზეთი “რეგიონ პლიუს” საიტი: <http://www.regionplus.az/ru/articles/view/39>. გადამოწმებულია 24.12.2012.

ხაზით აღნიშნულია “ტრასეკას” გზა, რომლიდანაც ჩანს, თუ რა დიდი შესაძლებლობებია ამ სატრანსპორტო მიმართულებაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ტვირთების მნიშვნელოვანი ნაწილი შეიძლება გადაიზიდოს რკინიგზით თურქეთის გავლით (მარაბდა-ახალქალაქი-კარნახის გზის მშენებლობის დამთავრების შემდეგ) საქართველოს საზღვაო პორტებს “უქმად” დგომა არ ემუქრება.




ნახაზი 1. „ტრასეკას“ მიმართულება.

საქართველოს საზღვაო პორტებიდან სრულფასოვნად ფუნქციონირებს ბათუმისა და ფოთის პორტები. ბათუმის პორტი შედარებით ღრმაა, რაც დიდტონაჟიანი გემების შემოსვლის საშუალებას იძლევა. ტვირთბრუნვაში ჭარბობს თხევადი ტვირთები (ნავთობი), იგი შეადგენს საერთო ტვირთბრუნვის უმეტეს ნაწილს. 2012 წლის 11 დეკემბრისათვის ბათუმის ნავთობტერმინალმა განახორციელა 4910 ათასი ტონა ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადატვირთვა,¹ ხოლო მშრალი ტვირთების დამუშავების მაჩვენე-

1 იხ. საიტი: <http://www.batumiport.com/index.php?page=shownews&id=58>.
გადამონებულია 24.12.2012.

ბლები ბოლო წლების განმავლობაში ასე გამოიყურება (იხილეთ ნახაზი 2). ეს მაჩვენებლები მილწეულია იმ პირობებში, როცა ბათუმის მფლობელ ყაზახურ კომპანიას მნიშვნელოვანი ინვესტიციები არ განუხორციელებია პორტის კეთილმონწყობისათვის და მისი აღჭურვისათვის თანამედროვე მაღალი მწარმოებლურობის მქონე დანადგარებით. ანლოგიური პროცესები ვითარდება ფოთის პორტშიც.



ნახაზი 2. მშრალი ტვირთების ტერმინალის ტვირთბრუნვა 2001-2011 წწ. (ათასი ტონა)

რაც შეეხება სუფსის, ყულევის და ანაკლიის პორტებსა და ტერმინალებს, მათი განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობებია და მომავალში მათი განვითარება მოსალოდნელია რეალური კონკურენციული გარემოს შექმნით.

საზღვაო პორტების მუშაობის ინტენსივობის ამაღლებას ხელი შეეწყობა საქართველოს საზღვაო ფლოტის შექმნითაც. დღეისათვის ქვეყანა არ ფლობს არცერთ საზღვაო გემს, თუ ლაინერს. ჩვენ შეგვიძლია ვისარგებლოთ საზღვაო ქვეყნის სტატუსით და დავინწყოთ ფლოტის შექმნა, რაც მოსახერხებელი იქნება შესაბამისი ეკონომიკური პოლიტიკის გააქტიურებით.

ОПЕРАЦИОННЫЙ АУДИТ ЭФФЕКТИВНОСТИ ИННОВАЦИОННОГО РАЗВИТИЯ ХОЗЯЙСТВУЮЩИХ СУБЪЕКТОВ

Лиана Григорян

Армянский Государственный Экономический Университет, Зав.
кафедры „Управленческого учета и аудита,, доцент, к.э.н.

Современное стратегическое развитие хозяйствующих субъектов невозможно без интеграции стратегического и инновационного управления этими субъектами. Практика управления и развития различных хозяйствующих экономических субъектов свидетельствует, что существующее многообразие стратегий выведения абсолютно новых потребительских результатов на рынок на основе внедрения продуктовых и технологических инноваций относится к стратегиям роста этих субъектов.

В то же время отсутствие соответствующей методологии, учитывающей всевозможные изменения в функционировании хозяйствующих экономических систем после реализации тех или иных инновационных элементов (внедрение новых или модифицированных технологий, разработка и выпуск новых или улучшенных потребительских результатов и пр.), приводит к тому, что современные хозяйствующие экономические субъекты зачастую неохотно (особенно в российских условиях) разрабатывают и реализуют инновации. При этом основным фактором, тормозящим любое инновационное развитие, является существенная неопределенность конечных результатов, основанных на указанных преобразованиях, ограниченность ресурсов, а также отсутствие релевантной, надлежащим образом подготовленной, информационной базы для принятия управленческих решений по указанному аспекту.

Ученые в области инновационной деятельности констатируют, что в настоящее время для исследований инновационных преобра-

зований и стратегических последствий от их реализации применяют (главным образом) «Методические рекомендации по оценке эффективности инвестиционных проектов». Указанная методика базируется на определении результатных коммерческих показателей эффективности и не учитывает изменения, протекающие в ходе реализации этих преобразований внутри самой хозяйствующей экономической системы. Это, в свою очередь, затрудняет выработку и практическое воплощение оптимальных управленческих воздействий, направленных на стратегическое инновационное развитие этой системы, так как результаты исследований, полученные по указанной методике, ориентированы главным образом на инвесторов и не учитывают внутренние возможности конкретного хозяйствующего субъекта. Кроме того, не учитывается сама продолжительность инновационного процесса и более широкий круг участников по сравнению с реализацией инвестиционного проекта.

При этом понятие инновационного процесса в научных источниках определяют как процесс последовательной трансформации идеи (знания) в потребительский результат (продукцию, товар, работу или услугу, а также качественно новую технологию), проходящий этапы фундаментальных и прикладных исследований, опытно-конструкторских разработок, маркетинга, производства и, наконец, коммерциализации. В свою очередь - «инновация» (от английского слова innovation - новшество, нововведение), есть ни что иное, как конечный результат указанного процесса.

Приведенное определение инновационного процесса свидетельствует, что существует практически постоянная необходимость выработки корректирующих управленческих рекомендаций для поддержки принятия разносторонних управленческих решений по указанным аспектам в любой момент времени и для любого, неповторимого по своей сути, хозяйствующего субъекта. Важно признать, что степень выполнимости инновационного процесса в каждом конкретном случае в каждом конкретном хозяйствующем экономическом субъекте будет практически неповторимой в иных условиях. Таким образом, основная проблема для системы управле-

ния конкретного хозяйствующего экономического субъекта состоит в том, чтобы с ее индивидуальных позиций (иметь возможность в любой момент времени оценивать эффективность реализации того или иного этапа инновационного процесса с учетом не только внешних, но и внутренних возможностей и особенностей управляемого ею субъекта. Кроме того, следует учитывать, что практически любая инновация не является абсолютно новым научным открытием для хозяйствующих экономических субъектов. Она предназначена главным образом на решение таких задач, как увеличение доли рынка, снижение себестоимости, повышение производительности и прочее, то есть на оптимизацию конкурентных преимуществ конкретной хозяйствующей экономической системы и ее внутреннего потенциала. При этом разработчики инноваций в современных условиях ориентируются на общепризнанные рыночные принципы экономики, в которых потребителям этих разработок необходимы не столько новые идеи (знания), сколько новые выгоды. Поэтому, представляется необходимым осуществление непрерывных исследований (мониторинга) всех сторон инновационной деятельности (всех этапов инновационного процесса) и оценки вероятных последствий ее результатов, а не только единовременных затрат понесенных инвесторами в своих индивидуальных присущих только им интересах.

Проведенные ранее исследования показывают, что наиболее приемлемым инструментарием для решения указанных проблем является практическая реализация непрерывного операционного аудирования любого направления деятельности хозяйствующего экономического субъекта, в том числе и инновационного. Возможности и многоаспектность этого направления аудиторской деятельности, а также его богатейшего научного аппарата позволяет судить о нем как о наиболее приемлемом подходе к разностороннему исследовательскому процессу и поддержке адекватных возникающим обременным ситуациям управленческих воздействий на любом этапе инновационного процесса.

Однако, принимая аудиторское задание по исследованию различных аспектов конкретного инновационного процесса, аудиторский

субъект должен, прежде всего учесть, что любая инновация в современных условиях разрабатывается и внедряется для того, чтобы достигнуть лучших результатов по сравнению с существующими аналогами. Отсюда немаловажной проблемой, требующей надлежащего внимания, является наличие риска недостаточной перспективности инновации. Поэтому еще на предварительном этапе аудиторского исследования аудирующему субъекту необходимо подготовить достаточную и надлежащую исходную информационную базу как о существующих, так и вероятных предпочтениях потребителей и возможностях коммерциализации будущей инновации, а также о тех аналогах и их характеристика, которые могут наилучшим образом с ней конкурировать.

Разрабатывая стратегическую модель предстоящего аудирования, аудирующий субъект должен исходить из того, что для эффективной организации и практической реализации любого инновационного процесса необходимо, прежде всего, исследовать рынок с позиции возможного восприятия инновации как существующими, так и потенциальными потребителями, а также непосредственными конкурентами аудируемого экономического субъекта. Иными словами необходимо оценить конкурентные преимущества разрабатываемой аудируемым экономическим субъектом инновации как с позиций целевой аудитории из всей генеральной совокупности существующих и вероятных потребителей, так и с позиций, непрерывно действующих как существующих, так и потенциальных конкурентов.

Если аудиторское задание по исследованию инновационного процесса является дополнением (сопутствующим) общему операционному аудированию деятельности хозяйствующего экономического субъекта, то, как следствие информация по указанным аспектам должна быть обобщена и при необходимости дополнена информацией полученной при исследовании внешнего окружения этого субъекта.

Аудирующий субъект должен учитывать, что указанный этап аудиторского исследования инновационного процесса носит весьма важное значение для принятия управленческих решения по

коммерциализации инновации. В то же время для выработки конкретных предложений в целях поддержки управленческих воздействий на весь инновационный процесс необходимо признать, что важнейшим критерием эффективности в современных условиях мирового экономического развития является новизна потребительских, а не технических свойств инновации. Поэтому основной целевой установкой аудирования инновационного процесса является, прежде всего, определение именно ее рыночной привлекательности и вероятного потенциала, то есть возможное восприятие инновации существующим и потенциальным рынком, а также его размер, основные тенденции и темпы все возможных изменений.

Указанные критерии эффективности вовлечения инноваций в хозяйственный оборот должны быть не только выражены количественно, но и отражать состояние внутреннего потенциала аудируемого экономического субъекта, как на текущий момент времени, так и стратегическую перспективу.

В свою очередь анализ научных источников свидетельствует, что любой инновационный процесс обычно подразделяют на две основные составляющие: «первое и второе рождение» инновации. Это, во-первых, появление новой разработки на рынке и, во-вторых, по мере распространения диффузии -инновация совершенствуется, становится более эффективной, приобретает иные, нежели вначале (адекватные требованиям потребителей) потребительские свойства и производственные возможности.

Под диффузией в данном случае понимается «распространение уже однажды освоенной и использованной инновации в новых условиях или местах применения. В результате диффузии возрастает число, как производителей, так и потребителей и изменяются их качественные характеристики».



სტრუქტურის მართვის ზოგიერთი ასპექტი

მანანა სამადაშვილი

ედ, სტუ ასოცირებული პროფესორი

სტრუქტურის მართვის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული და აქტუალური პრობლემაა. გადატვირთული სამუშაო გრაფიკი, არასასურველი გარემო პირობები, თავისუფალი დროის უქონლობა, მომავალზე ზრუნვა, პირადი პრობლემები და ა.შ. ერთ გრძელ ჯაჭვს ქმნიან, რომელიც მრავალი არასასურველი სიმპტომის სახით იჩენს თავს: თავის ტკივილი, კონცენტრაციის პრობლემები, გაღიზიანება, უძილობა, უიმედობის განცდა, შიში. სტრუქტურის დღეისათვის წარმოადგენს ინდივიდების, ორგანიზაციების და საზოგადოების მთავარ პრობლემას.

სტრუქტურის პირველად 1936 წელს აღწერა კანადელმა მეცნიერმა ჰანს სელიემ და მას ზოგადდაპტაციური სინდრომი უწოდა. მისი განმარტებით, ეს არის მდგომარეობა, რომელსაც ორგანიზმის დასუსტება და ორგანოთა სისტემების ფუნქციათა დარღვევა ახასიათებს. ტერმინი “სტრუქტურის” მოგვიანებით გაჩნდა. ის ინგლისური სიტყვაა და დაძაბულობას ნიშნავს.

ორგანიზაციაში სასურველია გამოყენებული იქნას სტრუქტურის მართვის ეფექტური ორგანიზაციული პროგრამები, რომლებიც წარმოადგენენ ხანგრძლივი მოქმედების პროგრამებს. ორგანიზაციის მიზნებს და თანამშრომელთა მოთხოვნილებებს უნდა ეყრდნობოდეს სტრუქტურის მართვის ეფექტური პროგრამების განხორციელება, ასევე მისი განვითარება და შეფასება.

განვიხილოთ ორგანიზაციული პროგრამები, რომლებიც შემდეგ კრიტერიუმებს ეყრდნობა:

1. გამოკვლევები, უნდა მიუთითებდნენ მათი გამოყენების დადებით ეფექტებს;

2. პროგრამები უნდა აუმჯობესებდნენ ორგანიზაციის მუშაობას;

3. მათი გამოყენება შესაძლებელი უნდა იყოს ნებისმიერი სიდიდის ორგანიზაციაში.

ადამიანს სტრესი ეხმარება შეამციროს მიზნის დასახვის შემდეგი ელემენტები:

- დაკმაყოფილების განცდა, როდესაც მიღწეულია მნიშვნელოვანი მიზანი;

- თვითკმაყოფილების ეფექტი, მიზნის მიღწევის გადაწყვეტილების მიღების შედეგად;

- გაურკვევლობის გრძნობის შემცირება, როდესაც მოქმედებები კონტროლირებადია.

- დაძაბულობის შემცირება

ძნელად განსახორციელებელი მიზანი თავად სტრესის წყაროა, წინააღმდეგ შემთხვევაში კმაყოფილების და მოტივაციის განცდის გამომწვევი. სასურველია დაისახოს მნიშვნელოვანი, მაგრამ ნაკლები სირთულის მიზნები. ასევე უნდა ხდებოდეს მიზნის მიღწევის პროცესის პერიოდული შემოწმება და კონტროლი.

მეორე პროგრამა ეს არის თანამონაწილეობა გადაწყვეტილების მიღებაში. გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილე თანამშრომლები უფრო მეტად განიცდიან დაკმაყოფილებას, სხვა თანამშრომლებთან აქვთ უფრო ღია ურთიერთობა და ორგანიზაციისადმი ერთგულების განცდა.

თანამონაწილეობას დიდი ეფექტი არ გააჩნია, თუ შესასრულებელია მარტივი, მაგრამ განმეორებადი სამუშაო. თანამონაწილეობის დადებითი შედეგი მდგომარეობს მრავალფეროვანი სამუშაოს შესრულებაში, სადაც თანამშრომლებს ეძლევათ საშუალება გაიზიარონ ძალაუფლება და ინფორმაციის ფლობის სურვილი.

ტანენტაუშმა და შმიდტმა შემოგვთავაზეს სხვადასხვა მიდგომათა კლასიფიკაცია.

- დაღმავალი — გადაწყვეტილების მიღება ხდება მაღალ საფეხურზე, შემდეგ ინფორმაციას აწვდიან დაბალ საფეხურზე მდგომ თანამშრომლებს;

• კონსულტაციური – თანამშრომლებისაგან რეაგირებას ითხოვენ მას შემდეგ რაც მენეჯერი თავად იღებს გადაწყვეტილებას;

კონსულტაციური-აღმავალი-გადამწყვეტი სიტყვა მენეჯერს ეკუთვნის, ხოლო თანამშრომლებისაგან მოსაზრებებსა და წინადადებებს ელოდებიან;

კონსენსუსი - გადაწყვეტილებები ფართოდ განიხილება და მიიღება ყველა თანამშრომლის თანხმობის შემთხვევაში;

• დელეგირება ვეტოს უფლებით - ქვედა საფეხურების თანამშრომლები იღებენ გადაწყვეტილებას, მენეჯერი იტოვებს ვეტოს უფლებას.

• დელეგირება ორგანიზაციული პოლიტიკის განსაზღვრით - გარკვეული შეზღუდვების პირობებში ქვედა ორგანიზაციული საფეხურების თანამშრომლებს ეძლევათ გადაწყვეტილების მიღების უფლება;

• წმინდა დელეგირება - ყოველგვარი პირობების გარეშე თანამშრომლებს აქვთ გადაწყვეტილების მიღების უფლება.

სამუშაოს გამდიდრება წარმოადგენს მესამე პროგრამას.

სამუშაოს გამრავალფეროვნება გულისხმობს, რომ მთელი სამუშაო შესრულდეს ერთი პიროვნების მიერ, რომელიც პასუხს აგებს მთლიანობაში მის სამუშაოს შესრულებაზე.

გამდიდრებული სამუშაო ხასიათდება შემდეგი მახასიათებლებით:

- სამუშაოს არჩევანის თავისუფლება;
- შესრულებული სამუშაოს შედეგების შეფასება;
- სხვადასხვა უნარების გამოყენების შესაძლებლობა;
- ერთი პიროვნების მიერ მთლიანი სამუშაოს შესრულება;
- ღირებული და ხელშესახები შედეგების მქონე საქმის კეთება.

კოპელმანის მიერ დაადგენილი იქნა, რომ სამუშაოს ხარისხსა და შესრულებული სამუშაოს მოცულობაზე დადებითად მოქმედებს სამუშაოს გამრავალფეროვნება. პიროვნება სამუშაო პროცესს მთლიანად ასრულებს თავიდან ბოლომდე დამოუკიდებლად, ამიტომ გრძნობს უფრო მეტ პასუხისმგებლობას. ასევე დაინტერესებულია მაღალი ხარისხის შედეგის მიღებაში.

სამუშაოს გამრავალფეროვნება ამცირებს კადრების დენადო-

ბას, სამუშაოს გაცდენის რაოდენობას, იზრდება სამუშაოთი კმაყოფილება. სამუშაო გარემო მშვიდია, კონფლიქტები და ფსიქოლოგიური პრობლემები

შემცირებულია. აქედან გამომდინარე, მუშაობის პროცესში სტრესული მდგომარეობაც შემცირებულია.

ნებისმიერ ორგანიზაციაში სასურველია იყენებდნენ მოქნილ სამუშაო გრაფიკს. ცვლაში მუშაობა, სამუშაოს არასწორი განწილება ასევე იწვევს

ზოგიერთ ადამიანში სტრესულ მდგომარეობას, ამიტომ სამუშაო გრაფიკის შედგენის მეთოდი სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს.

ორგანიზაციის ეფექტურობის ასამაღლებლად, მოსამსახურეთა კმაყოფილების ხარისხის გასაუმჯობესებლად სასურველია შესწავლილი იქნეს თანამშრომელთა მოსაზრებები, ქცევები, ალქმები და შემდგომ გათვალისწინებული იყოს მათი სამუშაო პირობების შემუშავების პროცესში.

უკუკავშირის სისტემა გულისხმობს ორგანიზაციის მიმდინარე მდგომარეობის შესახებ თანამშრომლების აზრების დანვრილებით შესწავლას, არკვევს საჭიროა თუ არა ცვლილებების შეტანა ორგანიზაციის გარკვეულ სფეროში. მნიშვნელოვანია უკუკავშირის პროგრამის საშუალებით მენეჯერმა სისტემატურად მიიღოს ინფორმაცია არსებული სიტუაციის შესახებ შემდგომი სწრაფი რეაგირებისათვის. უკუკავშირის სისტემის გამოყენება ანონიმური ფორმით ხდება. არაანონიმური გამოკითხვა ზოგიერთი თანამშრომლისათვის სტრესულ მდგომარეობას იწვევს.

პროგრამის ეფექტურობა დამოკიდებულია მენეჯერის მიერ მის შესრულებაზე, რამდენად კორექტულად და სწორად იყენებს ამ პროგრამას თანამშრომლების მიმართ. უკუკავშირის პროგრამის გამოყენება ეფექტურია თუ: იგი ანონიმურია, მენეჯერი დადებითად არის განწყობილი შედეგების განხილვის მიმართ, გამოცდილი ადამიანის მიერ არის შედგენილი და გამოყენებული.

თანამედროვე ორგანიზაციული სტრუქტურები

ბადრი რამიშვილი
ემდ, პროფესორი

ადამიანი უხსოვარი დროიდან ახერხებდა მიზნის მიღწევისთვის ჯგუფურ თვითორგანიზებას. საკმარისია ეგვიპტის პირამიდების და რამდენიმე უძველესი პროექტის გახსნებაც, რომ ცხადი ხდება რთული ორგანიზაციული სისტემების გარეშე ისინი ვერ განხორციელდებოდა, მაგრამ განსაკუთრებული წარმატებები ამ მხრივ სამხედრო სფეროში დაფიქსირდა, რომელთაგან ბევრი თანამედროვე მენეჯმენტისთვის დღესაც აქტუალურია. ორგანიზაციასთან დაკავშირებული პრობლემების შესწავლის მნიშვნელობა ფეოდალური ურთიერთობების რღვევის მიწურულს გამოიკვეთა, როდესაც ევროპაში დიდი სამოგზაურო პროექტების განხორციელების ეპოქა დაიწყო, რასაც ახალი მიწების კოლონიზება და მასთან დაკავშირებული პირველი მსხვილმასშტაბიანი პროექტების განხორციელება მოჰყვა. ყოველივე ამის გამო, აუცილებელი გახდა მრავალი ადამიანის მობილიზება და მათი ძალისხმევის ერთი მიზნის მიღწევისთვის წარმართვა. აქვე უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ სულ უფრო კარგავდა ეფექტურობას მოტივაციის ისეთი საშუალება, როგორიც არის იძულება. კაპიტალიზმის ეპოქამ ახალი დატვირთვა შესძინა ადამიანთა ეკონომიკურად მოტივირებული ჯგუფური შრომის საკითხს, ხოლო XIX საუკუნის შუა ხანებიდან, მას შემდეგ, რაც ქოხური წარმოების წესი ევროპასა და აშშ-ში მთლიანად ჩაანაცვლა ქარხნულმა წარმოებამ, ცხადი გახდა ორგანიზაციის შესწავლის, მასთან დაკავშირებული პრობლემების გამოკვლევის უკიდურესი აქტუალობა. ორგანიზაციის და, ზოგადად, მენეჯმენტის პრობლემების შესწავლას განსაკუთრებული ტემპებით ხელი მოჰკიდეს ამერიკელებმა და ეს ადვილად ასახსნელია. ჯერ ერთი, ამ ქვეყანაში საცხოვრებლად ჩადიოდნენ ევროპელები, რომლებიც ეკონომიკურად აქტიურნი, თუმცა დაბალი და საშუალო კლასების წარმომადგენელი იყვნენ, რომელთაც ანტაგონისტური დამოკიდებულება ჰქონდათ ტრადიციული ფეოდალური ურთიერთობე-

ბისადმი, ანუ ის წინააღმდეგობა, რაც მნიშვნელოვნად აფერხებდა ევროპაში ახალი ტიპის ორგანიზაციების რაოდენობის უსწრაფეს ზრდას და რაც არსებული გაბატონებული ფენების წინააღმდეგობაში ვლინდებოდა, ამერიკაში მოხსნილი იყო. გარდა ამისა, ამერიკა უმდიდრესი ქვეყანა იყო და არის ბუნებრივი რესურსების მხრივ და ამავე დროს უზარმაზარი ტერიტორიული თვალსაზრისით, ეს კი, მისი ეკონომიკის განვითარებისთვის მრავალი ორგანიზაციის შექმნას მოითხოვდა, რომელთაგან ბევრი შემდგომ ქვეყნარტად განტურ ეკონომიკურ წარმონაქმნებად გადაიქცა.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ატრიბუტი ორგანიზაციისა, რომელზეც უპირველესად აისახება მისი ევოლუცია და ახალი ვითარების მიერ პროვოცირებული გამოწვევები, არის მისი სტრუქტურა. ამ ცნების რამდენიმე ინტერპრეტაცია არსებობს, მაგრამ მასში ძირითადად მოიაზრება ურთიერთდაკავშირებული ელემენტების ერთობლიობა და ამ კავშირების ხასიათი. განვითარების პროცესმა ამ ტერმინს რამდენიმე მნიშვნელობა შესძინა, რომელთაგან ერთ-ერთი ჯერ კიდევ მთავარი დებულება, მას განიხილავს როგორც შრომის ფუნქციური დანაწილების ინსტრუმენტს, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება მმართველობითი საქმიანობა. გარდა შრომის სპეციალიზებული დანაწილებისა, სტრუქტურის უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია უფლებამოსილებების, ვალდებულებების და პასუხისმგებლობის იერარქიულ საფეხურებს შორის განაწილება. ორგანიზაციული სტრუქტურის თავდაპირველი ამოცანა იყო ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ ქრილში შიდაორგანიზაციული ურთიერთობების მოწესრიგება. ეს იმ პერიოდში ხდებოდა, როდესაც ორგანიზაციისთვის მთავარი იყო შიდა რესურსების მობილიზება და თუ ის ამას ოპტიმალურად შეძლებდა წარმატებაც გარანტირებული ჰქონდა, რადგან გარემო მისთვის ჯერ კიდევ ნეიტრალური იყო. მაგრამ მას შემდეგ რაც მიწოდებამ გადააჭარბა მოთხოვნას და სოციალური დონის ზრდის ფონზე მომხმარებელი უფრო პრეტენზიული გახდა, გარე გარემომ ორგანიზაციისთვის აგრესიული ხასიათი გამოავლინა და სტრუქტურის უმნიშვნელოვანეს პრობლემად მასთან ადაპტირება იქცა.

დღემდე ორგანიზაციული სტრუქტურის განვითარების რამ-

დენიმი ეტაპი შეიძლება გამოვყოთ, რომლებიც ზუსტად ასახავს იმ მომენტში მენეჯმენტის წინაშე მდგარ პრობლემებს, რაც თავის მხრივ ზოგადეკონომიკური ვითარების გამოძახილია. კომერციული სტრუქტურულიზებული ორგანიზაციის შექმნისკენ გადადგმულ პირველ ნაბიჯად შეიძლება მივიჩნიოთ მმართველობითი შრომის მკვეთრად გამიჯვნა. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ ეს პროცესი ორი მიმართულებით ვითარდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ შრომის ვინროსპეციალიზებული დანაწილების უპირატესობაში კაცობრიობა საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში იყო დარწმუნებული, ტეილორამდე ჯერ კიდევ არ იყო სათანადოდ გამიჯნული შემსრულებლის და სამუშაოს გეგმის შემდგენელის შრომა. სწორედ მეცნიერული მენეჯმენტის ამ ფუძემდებლის სახელს უკავშირდება მმართველობითი პერსონალის ფუნქციის განსაზღვრა, რაც ტეილორის მიხედვით წარმოების მეცნიერულად დასაბუთებული ნორმატივების, კანონების საფუძველზე შრომითი გეგმების და დავალებების შემუშავებასა და მათ საწარმოო პროცესში გამოყენებაში მდგომარეობს. მუშის ფუნქციად კი ის მმართველებისადმი უსიტყვო მორჩილებას მიიჩნევდა. მენეჯერის როგორც დამოუკიდებელი პროფესიის და იერარქიული სტრუქტურის მონაწილის საბოლოოდ გაფორმებისთვის უმნიშვნელოვანესი იყო მმართველობითი შრომის გამიჯვნის მეორე მიმართულება. კომერციული ორგანიზაციების რიცხვის ზრდამ დღის წესრიგში დააყენა პროფესიულად მომზადებული ხელმძღვანელების საჭიროება, რომლებიც მიუხედავად პიროვნული თვისებებისა, წარმატებულად შეძლებდნენ მენარმის მიერ წამოწყებული საქმის გაძლოლას. მენარმის ნიჭი შეზღუდული რესურსია, რადგან ის უფრო პიროვნულ თვისებებს ეფუძნება, ვიდრე პროფესიულ უნარ-ჩვევებს, რომლის ნებელობითი დაუფლება შეუძლებელია. ამიტომ დიდი რაოდენობით კომერციული ორგანიზაციის მართვისთვის საჭირო გახდა შესაბამისი ოდენობის და მომზადების კადრების არსებობა. გაჩნდა ისეთი ორგანიზაციები, რომელთაც დაქირავებული ხელმძღვანელი განაგებდა და ზოგჯერ მენარმე რამდენიმე ასეთ კომპანიას ფლობდა. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის შედეგად მენეჯერის პროფესია ფუნქციურად გამოეყო მენარმის საქმიანობას.

მეოცე საუკუნის 20-იანი წლებიდან მეორე მსოფლიო ომამდე პერიოდს შეიძლება კლასიკური ორგანიზაციული სტრუქტურის ხანა ვუწოდოთ. ის ორ უმთავრეს ბაზისს – ერთი მხრივ ორგანიზაციის ფუნქციურ დეპარტამენტიზაციას და მეორე მხრივ კი იერარქიულ პირამიდას – ეფუძნება. ამ ტიპის გადანწყვტილების აუცილებლობა ძირითადად ორგანიზაციების მოცულობის ზრდამ განაპირობა, ხოლო დასაბუთებად კი ანრი ფაიოლის მოღვაწეობა შეიძლება მივიჩნიოთ. 1950-იანი წლებიდან აშშ-ში, დასავლეთ ევროპაში და იაპონიაში ეკონომიკის ბუმმა ორგანიზაციების სიდიდეზეც იქონია გავლენა. შეიქმნა კომპანიები, რომლებიც ათიათასობით ადამიანს აერთიანებდა. ამ ოდენობის პერსონალის ერთ პირამიდულ სტრუქტურაში მოქცევა იერარქიული კიბის სიგრძის იმდენად გაზრდას იწვევდა, რომ ის შემაფერხებელი ფაქტორი ხდებოდა ორგანიზაციული კომუნიკაციებისთვის. ამ პრობლემის დაძლევის გამო შეიქმნა ე.წ. დივიზიონალური სტრუქტურა რამდენიმე მოდიფიკაციით.

70-80-იანი წლებში ბევრი მიმართულებით, განსაკუთრებით ტექნოლოგიატევად ინოვაციურ დარგებში საგრძნობი გახდა ცვლილებების ტემპის დაჩქარება. ამ გამოწვევას შესაბამის სფეროში მოღვაწე ბევრმა კომპანიამ ადაპტური სტრუქტურების შემუშავებით უპასუხა. საპროექტო და მატრიცული ორგანიზაციები სადღეისოდაც უალრესად აქტუალურია და არამარტო ინოვაციურ დარგებში. ბიზნესის ორგანიზების ამ ფორმას ფაქტობრივად ყველა მიმართულებით აქტიურად იყენებენ. ცვლილებების უსწრაფესი განვითარება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა XXI საუკუნის ბიზნესშიც, თუმცა არსებობს კიდევ რამდენიმე ფაქტორი, რომლებიც მნიშვნელოვნად ცვლის ორგანიზაციებს და მათ უმნიშვნელოვანეს ატრიბუტს, სტრუქტურას. ჯერ კიდევ 60-70-იანი წლებში გააცნობიერეს ბიზნეს-წრეებში ერთი უმნიშვნელოვანესი ტენდენციის შედეგები, რომლის აქტუალობაც მას შემდეგ მხოლოდ იზრდება. ეს არის ზოგადად არამმართველობითი პერსონალის კვალიფიკაციის, განათლების, სოციალური უზრუნველყოფის დონის ზრდა. მსგავს კადრებთან ტრადიციულ ადმინისტრაციულ-დირექტიულ ქრილში ურთიერთობა აღარ იყო ეფექტიანი ერთი მხრივ და ამავე დროს მათ კომპანიისთვის დიდი სარგებლის მოტა-

ნა შეეძლოთ გადანყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობით. სწორედ ამ მიზეზებმა განაპირობა “პარტისიპატიური” ორგანიზაციების შექმნა.

ტირმინი “participative management” სიტყვასიტყვით სწორედ “მართვას მონაწილეობით” ნიშნავს. ამ ტიპის სტრუქტურის მქონე ორგანიზაციების დანიშნულება სწორედ მაღალკვალიფიციური, კომპეტენტური თანამშრომლების კომპანიის მმართველობაში ჩართვას ისახავს მიზნად, რაც რამდენიმე დონეზე შეიძლება განხორციელდეს. ჩართულობის ყველაზე მარტივი ფორმა არამმართველობითი პერსონალისთვის იდეების, წინადადების წამოყენების შესაძლებლობის მიცემა იმ პარტისიპატიურ ორგანიზაციებში, სადაც თანამშრომლები გადანყვეტილების მიღების პროცესში საშუალო ხარისხით არიან ჩართულნი, არამმართველობითი პერსონალი ალტერნატივების გენერირების და განხილვის პროცესშიც მონაწილეობს, ხოლო სრულად პარტისიპატიურ ორგანიზაციებში პერსონალი მონაწილეობს გადანყვეტილების მიღების მთლიან პროცესში. ამგვარი მიდგომის გამოყენება შესაძლებელია იმ კომპანიებში, სადაც მაღალკვალიფიციური, განათლებული, ინიციატივიანი, შემოქმედებებითი უნარის მქონე პერსონალია დასაქმებული და მისი მეშვეობით ზოგადად ორგანიზაციის ეფექტიანობის ამაღლების გარდა შესაძლებელი ხდება კოლექტივის წევრებს შორის შრომისგან გაუცხოების პრობლემის დაძლევა.

ედჰოკრატული (ad hoc ლათინურად ნიშნავს სპეციალურს, მოცემული მიზნისთვის შექმნილს) ორგანიზაციების შექმნის იდეა ჯერ კიდევ XX საუკუნის მეორე ნახევარში გაჩნდა ამერიკაში. ედჰოკრატული მმართველობითი ფილოსოფიის უმნიშვნელოვანესი მახასიათებლებია: კომპეტენტურობა, სტიმულირების მძლავრი სისტემა, თანამშრომლეთა თავისუფლების მაღალი დონე, პერსონალს შორის უპირატესად არაფორმალური ურთიერთობები თვით იერარქიულ კიბეზეც კი. ყოველივე ამის მიღწევა კი შეუძლებელია განათლებული, კვალიფიციური და მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე კადრების გარეშე. ეს განაპირობებს იმას, რომ ედჰოკრატულ ორგანიზაციებში არ ხდება სტრუქტურული ერთეულების მკაცრად გმიჯვნა, მენეჯერები არ არიან მიჯაჭვულნი

საქმიანობის რომელიმე სფეროზე, მინიმუმამდეა დაყვანილი თანამშრომელთა შორის ფორმალური, ოფიციალური დამოკიდებულება და უპირატესობა ენიჭება არაფორმალურ, ჰორიზონტალურ ურთიერთობებს. ყოველივე ამის გამო ორგანიზაციის იერარქიული აგებულება შესაძლოა საკმაოდ ხშირად შეიცვალოს. ედჰოკრატიული ორგანიზაციები გამოიყენება არასტანდარტული, რთული სამუშაოების შესასრულებლად, მათში ძალაუფლება ეფუძნება ცოდნას და კომპეტენტურობას და არა იერარქიულ პოზიციას და წრფივ უფლებამოსილებას. ედჰოკრატიულ ორგანიზაციებში ადგილი აქვს სამუშაოთა ერთობლივ შესრულებას და ისინი განსაკუთრებით ფართოდ გამოიყენება იმ სფეროებში, სადაც მნიშვნელოვანია ინოვაციურობა, შემოქმედებითობა, ჯგუფური მუშაობა, გადაწყვეტილების მიღების კოლექტიური წესი.

პარტისიპატიული და ედჰოკრატიული კომპანიები შეიძლება მივაკუთვნოთ ე.წ. ჰორიზონტალურ ორგანიზაციებს, რომლებშიც ტრადიციული ვერტიკალური, ადმინისტრაციულ-დირექტიული ურთიერთობები იცვლება ე.წ. ბრტყელი, ჰორიზონტალური სტრუქტურებით, სადაც მინიმუმამდეა დაყვანილი იერარქიული საფეხურების რაოდენობა და ის, როგორც წესი, 3-4-ს არ აღემატება.

თანამედროვე კომერციულ ორგანიზაციებში ფართო გაქანება ჰპოვა ე.წ. ზეფუნქციური ავტონომიური ჯგუფების გამოყენებამ. ამგვარ სტრუქტურულ წარმონაქმნებში შედიან ყველა იმ ფუნქციური მიმართულების წარმომადგენლები, რომლებიც საჭიროა დასახული მიზნის მიღწევისთვის და მათ გადაეცემა საჭირო რესურსების განკარგვის უფლებამოსილება. ზეფუნქციური ჯგუფების ეფექტიანობის ძირითად კრიტერიუმია არა მისი წვლილი კომპანიის მიმდინარე ან გრძელვადიანი ფასეულობის ფორმირებაში, არამედ კონკრეტული მომხმარებლის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მაღალი ხარისხი. ამგვარი ჯგუფების საქმიანობა კონცენტრირებულია არა ფუნქციურობაზე, არამედ ისეთი საკითხების გადაწყვეტაზე, როგორც არის: ახალი ტიპის პროდუქციის შემუშავება, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა, გასაღების ქსელის ფორმირება და ა.შ. ზეფუნქციური ჯგუფების საფუძველზე

ხშირად ხდება მრავალგანზომილებიანი ორგანიზაციების შექმნაც. მათი ამგვარი დასახელება გამოწვეულია სტრუქტურული სირთულით, რომელშიც ასახული უნდა იყოს არამარტო რესურსების მოპოვების და შედეგების კომპონენტები, არამედ კონკრეტული მომხმარებლის, ბაზრის მოთხოვნილებებიც.

უკანასკნელი უმნიშვნელოვანესი მოვლენა, რამაც უდიდესი ცვლილებები გამოიწვია ორგანიზაციის აგების თვალსაზრისით, არის საინფორმაციო ტექნოლოგიების რევოლუციური განვითარება და მსოფლიო გლობალური საინფორმაციო ქსელის ფორმირება. თუ ადრე კომპანიის სიდიდე აშკარა უპირატესობას განაპირობებდა და მთელ რიგ ბაზრებზე მცირე მასშტაბების კომპანიისთვის შესვლა წარმოუდგენელი იყო, საინფორმაციო ქსელებმა ყოველ მათგანს მისცა მომხარებელთან უშუალო კავშირის დამყარების საშუალება, შეიქმნა პარადოქსული სიტუაცია, როდესაც მცირე ზომები გარვეულ უპირატესობადაც იქცა, რადგან ეს მეტი ადაპტირების უნარს ნიშნავდა. მრავალი მცირე კომპანია, რომლებიც ამათუიშ კომპონენტის ეფექტიანად წარმოებით გამოირჩეოდა, ხდებოდა მსხვილი კორპორაციების პარტნიორი. ფართოდ გავრცელდა აუთსორსინგი. პარტნიორული ურთიერთობების შესაძლებლობა მიეცა ტერიტორიულად ძალიან დაშორებულ ფირმებს. მსოფლიო ბიზნესში დაიწყო ადმინისტრაციულ-დირექტიული, იერარქიული ურთიერთობების პარტნიორულ-სახელმკრულებო ურთიერთობებით ჩანაცვლება, რის საფუძველზეც შეიქმნა ე.წ. “ქსელური სტრუქტურები”. ეს პროცესი იმდენად გაღრმავდა, რომ ამჟამად უკვე აქტიურად საუბრობენ ბიზნესის ახალ სტრუქტურაზე, რომლის უმთავრესი დანიშნულება იქნება პარტნიორების კოორდინირება და არა რომელიმე ტრადიციული ორგანიზაციული ფუნქციის ან ბიზნეს-ოპერაციის შესრულება. ეს იმდენად რთული და მრავლის მომცველი პროცესია, რომ მას ჩვენ ცალკე შევხებით მომავალ სტატიამში. ქსელური კომპანიები განსაკუთრებით კარგად ვითარდება იმ რეგიონებში, სადაც შექმნილია ერთიანი სამართლებრივი არეალი, რადგან მათი ფუნქციონირების სიმძიმის ცენტრი სწორედ სახელმკრულებო ურთიერთობებზეა გადატანილი. სადღეისოდ ძალიან რთულია ისეთი ქსელური კომპანიის წარმოდ-

გენა, რომელიც ფუნქციონირების პროცესში თანამედროვე საინფორმაციო ქსელურ საშუალებებს არ იყენებდეს. ვირტუალური კომპანია სწორედ ქსელური ორგანიზაციის ნაირსახეობაა, რომლის მოღვაწეობის უდიდესი ნაწილი ინტერნეტით ხორციელდება. თანამედროვე მსოფლიოში სულ უფრო მეტი ვირტუალური კომპანია იქმნება, რომელთა მიზანი მიწოდების ჯაჭვში პარტნიორობის უზრუნველყოფაა. მისი უმთავრესი მახასიათებელია ცვალებადი ორგანიზაციული საზღვრები, რაც მოთხოვნის შესაბამის უნიკალური წარმოების შექმნის საშუალებას იძლევა. ხოლო უმთავრესი უპირატესობებია განსაკუთრებით მომჭირნე წარმოება, მცირე კაპიტალური ინვესტიციები, მოქნილობა და სისწრაფე.

ბიზნეს-გარემოში მიმდინარე პროცესები გვაფიქრებინებს, რომ სამომავლოდ კიდევ უფრო გაიზრდება პარტისიპატიური, ედჰოკრატიული და ვირტუალური ორგანიზაციების მნიშვნელობა. განსაკუთრებით საინტერესო და პერსპექტიული საქართველოსთვის ე.წ. ვირტუალური სტრუქტურებია, რომელთა მეშვეობით ჯერ-ჯერობით ერთგვარად პერიფერიული ქართული ბიზნესი, შესაძლებელია მსოფლიოს ეკონომიკური აქტივობის ეპიცენტრში აღმოჩნდეს.

ინოვაციური მენეჯმენტი. როგორც საზოგადოებრივი კეთილდღეობის უმჯინის საფუძველი

ირმა ჩხაიძე

ეკონომიკის დოქტორი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში „საზოგადოებრივი კეთილდღეობის“ შექმნას განაპირობებს, როგორც სახელმწიფო „საერთო საზოგადოებრივი“ კეთილდღეობით (რომელიც საზოგადოების თითოეულ წევრს მიენოღება „თანაბრად“ და არ გამორიცხავს მათგან იმ ეჭვს, თუ ვინ ლეზულობს „ძირითადად“ ამ სახის საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე სარგებლობის უფლებას), ასევე ბიზნეს სექტორი „ინდივიდუალური“ კეთილდღეობით (მომხმარებელთა ინდივიდუალური მოთხოვნების დაკმაყოფილებით) ეს უკანასკნელი ეფუძვნება „პირადი კეთილდღეობის“ შექმნას და ითვალისწინებს, ერთი მხრივ, ბაზარზე კონკურენტუნარიანობის მოპოვებას ან შენარჩუნებას და, მეორე მხრივ, „საზოგადოებრივ სათვის არანინაალმდეგობრივი“ კეთილდღეობის შექმნის საფუძველზე მაქსიმალური მოგების მიღებას.

წინამდებარე სტატიაში წარმოდგენილია მსოფლიოში ცნობილი ლიდერი „Gillette“, „Ford Motor“ კომპანიები, რომლებიც, ერთი მხრივ, განახორციელებენ „პირადი კეთილდღეობის“ შექმნის მიზნით მათ მიერ წარმოებული საქონლით მომხმარებელთა შენარჩუნებას და მათი რიცხვის ზრდას ინოვაციური ბიზნეს პროექტების განხორციელებით და, მეორე მხრივ, თავისი მომხმარებლებისათვის ან მომავალი მომხმარებლისათვის როგორი და რა დონის „ინდივიდუალური“ კეთილდღეობის წარმოებას განახორციელებენ, ჩამოყალიბებულია „Gillette“, „Ford Motor“ კომპანიის დამფუძნებლების, ცნობილი ინოვატორების კინგ კემპ ჟილეტის და ჰენრი ფორდის მიზანდასახულობა კომპანიების არა მხოლოდ დაფუძნების, არამედ მათი მოღვაწეობის პერიოდში კომპანიის განვითარებისა და მოქმედების დროს პერიოდულად წარმოშო-

ბილი პრობლემების აღმოსაფხვრელად ყოველ ახალ ინოვაციურ ეტაპზე გადასვლა და ინოვაციურობის ეფექტიანობის განსაზღვრა. განსაზღვრულია თანამედროვე XXI-საუკუნის ინოვაციურ ეტაპზე „Gillette“, „Ford Motor“ კომპანიათა ინოვაციური ტექნოლოგიებით მოქმედების პირობები, რომელიც დაარსებიდან დღემდე ემსახურება მუდმივ და მომავალ მომხმარებელთა ინდივიდუალური მოთხოვნების დაკმაყოფილებას, რაც მათთვის „პირადი კეთილდღეობის“ შექმნის საფუძველია.

მსოფლიოში ცნობილი ლიდერი „Gillette“ კომპანიის დამფუძნებლის კინგ კემპ ჟილეტის უმთავრესი მიზანი იყო „პირადი კეთილდღეობა“ შეექმნა ისეთი ინოვაციური საქონლის გამოგონებითა და წარმოებით, რომელიც მალე შევიდოდა ამერიკელის ცხოვრებაში, რომელიც ყოველთვის დასჭირდებოდა მომხმარებელს და წლობით კი არ შეინახავდა, არამედ მოიხმარდა და გადააგებდა. კ.კ. ჟილეტის მიერ აღნიშნული ახალი საქონლის გამოყენების კულტურა საფუძველად ედება 1895 წელს ჟილეტის წინაშე პირადი პრობლემის საფუძველზე წარმოშობილ ბიზნეს იდეას-საპარს სამართებელზე. კ. ჟილეტი აღნიშნავს, რომ „ერთ მშვენიერ დღეს ვიდექი და დაბნეული ვუყურებდი გაბლაგველ საპარს სამართებელს და სწორედ მაშინ დამებადა იდეა. ყოველ შემთხვევაში ის ზუსტად ვიცი, რომ იმ მომენტში დაიბადა ჟილეტის საპარსი“.¹

აქვე აღსანიშნავია კინგის მიერ, ერთი მხრივ, ბიზნეს იდეის წარმოშობის პარალელურად რეპრეზენტაციის ჩარჩოს წარმოსახვა, რომ „მე მთლიანად დავინახე ჟილეტის საპარსი“, და, მეორე მხრივ, მის წინაშე ერთ ნაშში დასმული უამრავი შეკითხვის საფუძველზე ხორციელდებოდა რეპრეზენტაციის ჩარჩოს ზრდა და რომ „ყოველი კითხვისათვის აღმომჩინდა პასუხი“, რამაც ჟილეტი რეალურ გადაწყვეტილებამდე მიიყვანა.

კ. ჟილეტის მიერ საწყის ეტაპზე „ინოვაციური ცოდნის“ არაეფექტური მართვა განაპირობა იმ უმთავრესმა მიზანმა, რომ ბიზნეს პროექტის განხორციელების დროს არ გაითვალისწინა პროექტზე მოქმედი შემზღვეველი ფაქტორებიდან-მაღალ ხარისხიანი ფო-

1 მ.თეთრუაშვილი, ზ.თეთრუაშვილი, ი.თეთრუაშვილი, „საკუთარი ბიზნესი: პირველი ნაბიჯი“, გვ.97.

ლადის ფირფიტის აუცილებლობა (რის გამოც ჟილეტის ხარისხიანად შემუშავებისათვის 5 წლის მანძილზე 25000\$ დახარჯა), რაც პირდაპირ კავშირში იყო ფოლადის სიმტკიცის და გამონრთობის ინოვაციური ტექნოლოგიების შემუშავებასთან. ბიზნეს პროექტზე მოქმედი შემზღვეველი ფაქტორის უზრუნველმყოფელ ფაქტორად გადაქცევა მან შესძლო მხოლოდ უილიამ ნიკოლსონის (1900 წელს მასაჩუსეტის ტექნოლოგიური ინსტიტუტის კურსდამთავრებული) გამოგონების შემდეგ, რომელმაც შეიმუშავა ფოლადის სიმტკიცის და გამონრთობის ახალი ტექნოლოგიები. აღსანიშნავია ისიც, რომ ჟილეტი მიზნის მიღწევამდე საკუთარი ცოდნის შესაძლებლობებს უარყოფითად აფასებდა და აღნიშნავდა, რომ „ტექნიკური გაუნათლებლობის გამო ვერ გავითვალისწინე, რომ გაცილებით მაღალხარისხიანი და ძვირადღირებული ფოლადი მჭირდებოდა“. ჟილეტის წარმატების მიღწევის შემდეგ მეცნიერთა მიერ მისი ქმედება შემდეგნაირად შეფასდა, რომ „ჟილეტს შესაბამისი ტექნიკური განათლება რომ ჰქონოდა, თავის განზრახვაზე ძალიან მალე ჩაიქნევდა ხელს“¹.

1901 წელს დაფუძნებული „American Safety bazor“ კომპანია და შემდგომ საზოგადოებისათვის „Gillette Safety bazor“ სახელწოდებით ცნობილი კომპანიის მიერ შექმნილი „პირადი კეთილდღეობა“ აისახება წლების მანძილზე მათ მიერ წარმოებული საქონლის სწრაფი და მზარდი რეალიზაციით. „Gillette Safety bazor“ კომპანიამ 1903 წელს ერთჯერადი საპარსი სამართებლით დააკმაყოფილა 219, ხოლო 1904 წელს 91 123 მომხმარებელთა მოთხოვნა. 1908 წელს კომპანიის ბრუნვამ 13 მლნ დოლარს მიაღწია. 1921 წლისათვის კი კომპანიის შემოსავალმა რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია, რასაც განაპირობებდა 20 წლიან პატენტზე (პატენტის ვადის ამონურვამდე 6 თვით ადრე) ახალი მოდელის საპარსის შემუშავება, რომლის ღირებულება 4-ჯერ შემცირდა და 1\$ შეადგენდა. დღეისათვის კომპანია „Gillette“ ფლობს თავისი პროდუქციის მწარმოებელ საწარმოებს 14 ქვეყანაში, ხოლო მის მიერ წარმოებული საქონლის რეალიზაციით საზოგადოებრივი კეთილდღეობის შექმნას განახ-

¹ მ.თეთრუაშვილი, ზ.თეთრუაშვილი, ი.თეთრუაშვილი, „საკუთარი ბიზნესი: პირველი ნაბიჯი“, გვ.100

ორციელებს 200-ზე მეტ ქვეყანაში და მსოფლიო რეგიონებში.

ამრიგად, კომპანია „Gillette“, რომელმაც მსოფლიო დაიპყრო „პირადი კეთილდღეობის“ შექმნის პარალელურად, ყოველთვის ზრუნავდა და ზრუნავს „არანინაალმდეგობრივი საზოგადოებრივი კეთილდღეობის“ შექმნაზე, რაც ნათლად აისახებოდა ჯერ კიდევ 1926 წელს კ.ჟილეტის სიტყვებში: „მე არ ვიცი სხვა ასეთი საქონელი ყოველდღიურ მოთხოვნაზე, როგორც ჩვენი კომპანიის მიერ წარმოებული ბრიტვაა. ჩემს მოგზაურობაში მე შევხვდი მას ყველგან. ეს იყო დასაწყისი, ასე რომ ბრიტვეები „Gillette“, უახლესი 50 წელში დაიპყრობს მთელ მსოფლიოს“.¹ კომპანიის მიერ თანამედროვე ეტაპზე „არანინაალმდეგობრივი საზოგადოებრივი კეთილდღეობის“ შექმნაზე მეტყველებს მის მიერ წარმოებულ ძირითად პროდუქციათა (ბრიტვეები, კოსმეტიკური საშუალებები, საკანცელარიო საქონელი, ელექტრობრიტვეები, მცირე საყოფაცხოვრებო ტექნიკა, და სხვა) მრავალფეროვნება და მუდმივი ინოვაციურობა.

კ. ჟილეტი ისტორიაში დარჩა ცნობილი, როგორც „ყველაზე დიდი წვრილმანის ინოვაციური და მწარმოებელი“, რომელმაც შექმნა ერთჯერადი საქონლის ინდუსტრია, რომელიც ითვლება არა მხოლოდ წვერის საპარსის გამომგონებლად, არამედ სათავე დაუდო ერთჯერადი ცხვირსახოცების, სანთლების, თეფშების, ჭიქების შექმნის იდეას, რომლითაც (საჭიროების შემთხვევაში) სარგებლობს მსოფლიო მოსახლეობა, ანუ საჭიროების შემთხვევაში მომხმარებელს შეუქმნა „არანინაარმდეგობრივი კეთილდღეობა“.

ისტორიაში კ.კ.ჟილეტის მსგავსად გენიალურ ინოვაციორად და ორგანიზატორად სახელდება „Ford Motor“ კომპანიის დამფუძნებელი ჰენრი ფორდი, რომლის იდეათა მრავალფეროვნება საავტომობილო სამყაროში ვლინდება ჯერ კიდევ 1893 წლიდან პირველი კონვეირის და სერიული ავტომობილების (პირველი ბენზინძრავიანი ავტომობილი -მსუბუქი ორადგილიანი ეტლი Quadricycle ველოსიპედის ბორბლებითა და ნახევრადელიფსური რესორებით, რომელიც დიდი ხნის მანძილზე დეტროიტში ერთადერთი ავტო-

1 მ.თეთრუაშვილი, ზ.თეთრუაშვილი, ი.თეთრუაშვილი, „საკუთარი ბიზნესი: პირველი ნაბიჯი“ გვ.98

მობილი იყო) გამოშვებაში, 1903 წელს ორი ერთნაირი სარბოლო მანქანის (ერთ სარბოლო მანქანაზე ველომრბოლემა ბარნი ოლდიფილდმა სისწრაფის ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა და ზედიზედ რამდენიმე შეჯიბრში გაიმარჯვა. საპრიზო თანხით ფორდმა შესძლო პირადი კეთილდღეობის შექმნა „Ford Motor“ კომპანის დაფუძნებით) წარმოებაში. 1919 წლიდან ჰენრი ფორდი „Ford Motor“ კომპანის აქციათა 100% ფლობით საავტომობილო იმპერიის მფლობელი გახდა. 1947 წლიდან (ფორდის გარდაცვალების შემდეგ) „Ford Motor“ კომპანიამ ერთპიროვნული კონტროლი დაკარგა (ფორდის „სამრეწველო სამეფო“ -ერთ ერთ შვილიშვილს ჰენრი ფორდ უმცროსს უანდერდა). დღეისათვის „Ford Motor“ „სს“ კომპანის აქციების 40%-ი ოჯახს ეკუთვნის, ხოლო დანარჩენი 60% ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე თავისუფლად მიმოიქცევა. თანამედროვე ეტაპზე კომპანია უმსხვილეს ამერიკულ კომპანიებს შორის მეშვიდეა, ხოლო მსოფლიო რეიტინგში მეთორმეტე.

ინოვაციური ცოდნის გამოყენება კომპანიის წარმატების საიდუმლო პრინციპებშია, ეს კი თანამედროვე ეტაპზე ნათლად აისახება „Ford Motor“ კომპანის ინოვაციურ ტექნოლოგიებში. კომპანია ცდილობს წლების განმავლობაში „პირად კეთილდღეობა“ შექმნას საიდუმლო ინოვაციური ტექნოლოგიებით და შესძლოს არა მხოლოდ მომხმარებელთა და ახალი მძღოლების სახით წარმოდგენილ მომავალ მომხმარებელთა მოთხოვნების დაკმაყოფილება მაღალი ხარისხის სხვადასხვა სახის ავტომანქანებით, არამედ ასევე ავტომრბოლელთა მოთხოვნებისა.

აღსანიშნავია, რომ „Ford Motor“ კომპანის მიერ მე-XX საუკუნის დასაწყისში სარბოლო მანქანების წარმოება ერთჯერადი არ იყო და დღესაც კომპანის საქმიანობის მთავარ მიმართულებას წარმოადგენს. აღნიშნულზე მეტყველებს FIA-ის მიერ ჩატარებულ „Ford FIA World Rally championship“ (WRC) მონაწილეობა (რომელიც ტარდება მთელი წლის მანძილზე მსოფლიოში 22-დან +40 0C ტემპერატურის პირობებში), სადაც „Ford“-ი გამოვიდა „Ford Abu Dhabi World Rally Team“ და წარმოადგინა ახალი ავტომობილი „Ford Fiesta RS“, რომელიც შექმნილია სერიული ავტომობილების ბაზაზე და წარმოადგენს კომპანიის მიერ წარმოებული ინტელექ-

ტუალური ტექნოლოგიების მთელ სპექტრს, პასუხობს უმაღლეს სტანდარტებს და ავტოსპორტის მოთხოვნებს.

„Ford“-მა 2011 წლიდან ყოველწლიურად „Sony“, „Blaupunkt“, „Dyson“, „LG“, „Nokia“, „Panasonic“, „Samsung“, „Toshiba“ და „Vodafone“ კომპანიებთან ერთად „IFA Berlin“ გამოფენაში (რომელიც ეძღვნებოდა თანამედროვე ტექნოლოგიებსა და ელექტრონულ მონაცემობებს) მონაწილეობის მიღებით მომხმარებლებს, ჟურნალისტებს, მსოფლიოს თითქმის 100 ქვეყანაში ტექნოლოგიების სფეროში მოღვაწე სპეციალისტებს წარუდგინა როგორც დღეს ასევე სამომავლოდ რეალიზებადი ინოვაციები, რომელშიც ჩართულია Mykey ტექნოლოგიები. ამ ტექნოლოგიების გამოყენებით კომპანია ცდილობს დააკმაყოფილოს ახალი მძღოლები მოსალოდნელი რისკის არიდებით, კერძოდ მისი განსაკუთრებულობაა: პროგრამირებადი ლილაკი, რომელიც აუდიო სისტემის ხმის გაზრდით უზრუნველყოფს მანქანის მაქსიმალურ სიჩქარეს, უსაფრთხოების ღვედის შეუკვრელობის და ნაკლები საწვავის შემთხვევაში ნაადრევ შეხსენებას (შეუძლებელია გაითიშოს უსაფრთხოების ძირითადი ფუნქციები, კერძოდ, გაფრთხილების სისტემა (Lane Departure Warning) და ავტომანქანის დამუხრუჭების (Activ Park Assist) სისტემა).

„Ford“-ის ინოვაციური ტექნოლოგიებიდან ავტომანქანაზე მოქმედი „Active City Stop“ ფუნქცია ითვალისწინებს დამუხრუჭების ავტომატურ სისტემას, რომელიც მძღოლს ეხმარება ატაროს მანქანა თავისუფლად მჭიდრო საქალაქო საავტომობილო მოძრაობის პირობებში. ე.ი. ავტომანქანა ავტომატურად განახორციელებს წინ მიმავალ ავტომანქანასთან მიახლოებისას სწრაფ ავტომტურ დამუხრუჭებას, ანუ სამუხრუჭე სისტემის მოქმედებაში მოყვანას (თუ ეს არ ხორციელდება მძღოლის მიერ), ხოლო „Active Park Assist“ ფუნქცია გულისხმობს ავტოსადგომში ჩაყენების დამხმარე სისტემის ამოქმედებას, რომელიც ავტომატურად განსაზღვრავს რომ უახლოვდება ავტოსადგომს, რაც მოითხოვს მძღოლიდან მხოლოდ სიჩქარის გაკონტროლებას და სხვა .

კომპანია „Ford“ სამომავლო ტექნოლოგიური ინოვაციები მიმართულია კომუნიკაციის განვითარებისაკენ, როგორც ავტო-

მობილებს შორის, ასევე ევროპის გზებზე ავტომობილებსა და ინფრასტრუქტურის ობიექტებს შორის, „Ford Motor company“ ინოვაციური ტექნოლოგიები ავტომანქანების რეალიზაციაში გაშვებამდე ექვემდებარება პროგრამის კვლევის ჩარჩოებში სამომავლო ტექნოლოგიების გამოცდას.

ინოვაციურ სფეროში ლიდერობის შესანარჩუნებლად კომპანია მუდმივად სრულყოფს მათ მიერ წარმოებულ ავტომანქანებს, მუშაობს დინამიურად დიზაინზე და გარე იერსახეზე, აუმჯობესებს ინტუიციურად აღქმადი ფუნქციების ნაკრებს, შიდა სალონის სტილს და ხარისხს. „Ford Motor company“ 2011 წელს ჟენევის ავტოგამოფენაზე წარმოადგინა მანქანები სატარებლად მიმზიდველი და ეკონომიური, რაც, თავის მხრივ განაპირობებს მომხმარებელთა დაინტერესებას.

ამრიგად, პრაქტიკა ცხადყოფს, რომ მსოფლიოში ცნობილი კომპანიების მსგავსად „Gillette“ და „Ford Motor“, კომპანიები უმთავრესი მიზნის - „პირადი კეთილდღეობის“ შექმნისათვის შემუშავებული ინოვაციური ბიზნეს პროექტების რეალიზებით გადავიდნენ განვითარების ახალ ინოვაციურ ეტაპზე, რომელიც გულსხმობს სიახლეთა გამოყენების პროცესის განხორციელებას გააზრებულად და მიზანდასახულად არა მხოლოდ კომპანიის დაფუძნებისათვის, არამედ განვითარებისა და მოქმედების პერიოდში პერიოდულად წარმოშობილი პრობლემების აღმოსაფხვრელად. ყოველივე ეს დიდ გავლენას ახდენს კომპანიის მომავალზე და განსაზღვრავს კომპანიის ლიდერობას. კომპანიის მიერ შემუშავებული ინოვაცია განიხილება პრობლემების გადაწყვეტის მთავარ ინსტრუმენტად, რომლის რეალიზება და მართვა შეუძლებელია ინოვაციური ცოდნის გარეშე.

კონსალტინგის როლი ბიზნესში

მზია მოისნრაფიშვილი

ეკონომიკის დოქტორი,
სტუ პროფესორი

თამარ ქამხაძე

ეკონომიკის დოქტორი,
სტუ უფროსი მასწავლებელი

კონსალტინგი ინგლისური წარმოშობის სიტყვაა და მისი პირდაპირი თარგმნა შეიძლება, როგორც კონსულტაციების განწევა ან რჩევების გაცემა. თუმცა საკონსულტაციო ფირმები არამარტო გასცემენ რჩევებს, არამედ მონაწილეობენ, ან უშუალოდ ასრულებენ რიგ საქმიანობებს. თავდაპირველად კონსალტინგი განისაზღვრებოდა როგორც სპეციალიზებული ორგანიზაციების მიერ ეკონომიკური, ფინანსური, სავაჭრო ან საკანონმდებლო კონსულტაციების განწევა საწარმოების, ფირმებისა თუ ორგანიზაციებისათვის. საბაზრო ეკონომიკის სწრაფად ცვალებადი ხასიათი შესაბამისად მოითხოვს საწარმოს ადეკვატურ მართვას, რაც, პირველ რიგში, მის მუდმივ განვითარებაზე და ახლადშობილ საჭიროებებსა და მოთხოვნილებებზე ორიენტაციას ნიშნავს. აქედან გამომდინარე, დღეს უკვე კონსალტინგში იგულისხმება ინტელექტუალური მომსახურების ისეთი სახეობა, რომელიც დაკავშირებულია საწარმოს მართვისა და ორგანიზაციული განვითარების სფეროში წარმოშობილი სხვადასხვა რთული პრობლემის გადანყვეტასთან. თუმცა კონსალტინგმა, როგორც ასეთმა შეინარჩუნა ზოგადი კონსულტაციებისა და პრაქტიკული მომსახურების ფართო შინაარსი.

კონსალტინგს ადგილი აქვს მაშინ, როცა ხდება ორი აგენტის, ერთის მხრივ, საწარმოს მენეჯერის ურთიერთშეთანხმებული თანამშრომლობა. უფრო კონკრეტულად: 1. შემკვეთმა ფირმამ ან საწარმომ შეიძლება უშუალოდ დაუკვეთოს რაიმე ღონისძიების შესრულება (მაგალითად, მინისტარის კომპანია უკვეთავს საკონსულტაციო კომპანიას სადისტრიბუციო ქსელის აწყობას და კვალ-

იფიცირებული დისტრიბუტორების დაქირავებას); 2. კონსულტანტის მიერ სანარმოს დიაგნოსტიკის შედეგად დასახული რეკომენდაციების განხორციელება (მინისტრის სანარმოში შესული კონსულტანტების რეკომენდაცია არის ახალი მომწოდებელი ფირმის მოძიება ცვალებადი ხარჯების შემცირების მიზნით. წარომების მენეჯერი და კონსულტანტი ერთად ახორციელებენ ახალი პარტნიორის შერჩევას, მოლაპარაკებებს, კონტრაქტების დადებასა ა.შ.

კონსულტაცია არ არის მაკონტროლებელი ქმედება, იგი ორგანიზაციაში გამოვლინდება ხელმძღვანელის თხოვნით. როგორც წესი, ასეთი თანამშრომლობისთვის იდება კონტრაქტი. შესასრულებელ სამუშაოსა და არსებული პრობლემებიდან გამომდინარე, კონტრაქტში ასახულ რიგ პუნქტებს შორის აუცილებლად არის მოხსენიებული ორი მთავარი მუხლი: 1. მენეჯერი ვალდებულია მიანოდოს კონსულტანტს სრულყოფილი და რეალური ინფორმაცია სანარმოს შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში კონსულტანტი იხსნის პასუხისმგებლობას მის მიერ გაწეული მომსახურების შედეგებზე და 2. კონსულტანტი ვალდებულია სანარმოსთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია (იქნება ეს სანარმოდან მიწოდებული უშუალოდ კონსულტანტის კვლევების შედეგად მიღებული) შეინახოს საიდუმლოდ და არ გაავრცელოს იგი მასობრივი ინფორმაციის საშუალებით, არ გადასცეს თუნდაც სანარმოს პარტნიორებს, მითუმეტეს კონკურენტებს. წინააღმდეგ შემთხვევაში საკონსულტაციო ფირმას ეკისრება ჯარიმა. საკონსულტაციო მომსახურება ატარებს კომერციულ ხასიათს, შესაბამისად მენეჯერისთვის კონსალტინგი არის საკუთარი სანარმოს განვითარებაში ინვესტირებული თანხა, ხოლო საკონსულტაციო ფირმისთვის მაღალი ხარისხი და შედეგიანი მომსახურება, მისი ბაზარზე დამკვიდრების და სერიოზული ფინანსური სარგებლის წინაპირობა.

აღბათ ყველას გაგვიჩნდება კითხვა თუკი კონსულტანტი ასეთ მნიშვნელოვან როლს ასრულებს სანარმოს წარმატებულ ფუნქციონირებაში, რატომ მიმართავს იგი საკონსულტაციო ფირმას, ნაცვლად იმისა რომ თვითონ დაიქირავოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტი. ცნობილი ფაქტია, რომ ბაზარზე შეიძლება წაანყდე

სხვადასხვა სახის პრობლემას, ხოლო თითოეული მათგანის შესაბამისი კადრის დაქირავება არ არის მიზანშეწონილი: 1. ფინანსური თვალსაზრისით, 2. სანარმოსთვის უცნობი, ან ახალი ბარიერების წარმოშობის საკმაოდ მაღალი ალბათობის გამო.

ხშირად საკონსულტაციო ფირმებს მიმართავენ, როცა საჭიროა დახმარება ბიზნესის რეორგანიზაციასთან დაკავშირებული, სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებაში. დამკვეთი ამ შემთხვევაში კონსულტანტიგან ელოდება ექსპერტულ დასკვნას შექმნილი მდგომარეობის, შესაძლო სიახლეების ან კვლევების შედეგების შესახებ. კონსულტანტიგან ასევე მოითხოვენ პროფესიული ცოდნის გადაცემას სანარმოის პერსონალიზე (სასწავლო კურსები, კვალიფიკაციის ამაღლება და ა.შ.)

ამჟამად, მსოფლიოში 50-ზე მეტი მსხვილი საკონსულტაციო ფირმა არსებობს. მათი უმრავლესობის სათაო ოფისები აშშ-სა და ევროპის ქვეყნებშია განთავსებული, ხოლო მომსახურების ბაზრები თითქმის მთელ მსოფლიოს მოიცავს. მსოფლიოს კონსალტინგურ ფირმებს შორის გამოყოფენ დიდ კოსალტინგურ ფირმებს, როგორებიცაა: "მაკკენა ჯგუფი", "აპრიმო" და არტურ ანდერსენის" საკონსულტაციო ფირმები. ავილოთ ერთ-ერთი. მაგალითად, "მაკკენა ჯგუფი", რომელიც დაარსდა 1940 წელს, იგი ორიენტირებულია გლობალურ სტრატეგიულ კონსალტინგზე. ისი პირველი მომხმარებლები, რომლებმაც მსოფლიო მასშტაბით გაუთქვეს სახელი, იყო და კვლავაც რჩებიან ინტელი და ეფფლი (უმსხვილესი კომპიუტერული ტექნიკის მწარმოებელი ფირმები). მისი კლიენტების სიას ასევე ავსებენ ისეთი მსხვილი ტრანსნაციონალური კომპანიები, როგორებიცაა: აი ბი ემი, გენეტიკი, ტრიკომი და სხვა.

ალბათ ყველას გვინტერესებს როგორ მომსახურების სფეროს სთავაზობენ ეს გიგანტი კომპანიები?

1. მომხმარებლები და არხები: მარკეტინგის და არხის ეფექტიანობის დადგენა, გაყიდვების ეფექტიანობის დადგენა, მომსახურების ეფექტიანობის დადგენა, ბიზნესის და პროცესის სტრატეგია, უახლესი ტექნოლოგიების დანერგვა

2. ბაზრები და მომნოდებელი არხები: ბაზრების დეტალური შესწავლა, მიწოდების ჯაჭვის აწყობა.

3. სანარმოო ტექნოლოგია: წარმოების პროცესის სრული ანალიზი, წარმოების პროცესის განახლება – განხორციელება.

4. ფინანსები და ოპერაციები: ფინანსური სტრატეგიის შემუშავება, პრაგმატული ფინანსური პროგრამის შექმნა, ოპერაციული ეფექტიანობის დადგენა, ხარჯების სტრატეგიული მართვა.

5. ტექნოლოგიური ინტეგრაცია: ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა, წარმოებაში ახალი ტექნოლოგიების ინტეგრაცია, მონაცემთა მართვა და ანალიზი, პროგრამული უზრუნველყოფა.

6. სტრატეგია, ორგანიზაცია და პერსონალი:

სტრატეგიული გადაწყვეტილების შეფასება – ანალიზი, ცვლილებების და კონფლიქტების მართვის სრულყოფა, ორგანიზაციული პრობლემების ანალიზი – გადაწყვეტის გზების დასახვა, პერსონალის შესწავლა, კვალიფიკაცია და სწავლება – ტრენინგი.

რაც შეეხება საქართველოს, აქ დიდი კონკურენცია არ არსებობს საკონსულტაციო ფირმებს შორის, რადგან ჩვენთან კონსალტინგი ჩამოყალიბების ფაზაშია. ძირითადად საქართველოში საკონსულტაციო მომსახურება ხორციელდება სახელმწიფო დონეზე და პროგრამები ტარდება ქვეყნის ეკონომიკური სიტუაციის გასაუმჯობესებლად, ასეთი პროგრამა 2001 წლის აპრილში ბრიტანეთის მთავრობის საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტის (DFID) დაფინანსებით დაიწყო, რომელიც ხორციელდებოდა მსოფლიოს ბანკის საკონკურსო გრანტების სისტემის მხარდაჭერით, პროექტის დაფინანსება შეადგენდა 450 000 გირვანქა სტერლინგს, ძირითადი მიზანი: საქართველოს სოფლის მდგრადი განვითარება და ეკონომიკური ზრდა, ახლად ჩამოყალიბებული კერძო ფერმერული მეურნეობების აღჭურვა არსებული ბაზრის პირობების შესაბამისად, პროექტის ამოცანა: ფერმერების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება სოფლის მეურნეობის საკონსულტაციო სამსახურებთან და მოთხოვნის შესაბამისად მომსახურების ზრდის შესაძლებლობა. ბრიტანეთის საერთაშორისო განვითარების სამთავრობო დეპარტამენტის (DFID) რეკომენდაციის თანახმად, 2002 წლის იანვარში, პროექტის ფარგლებში, ქართველი სპეციალისტების მიერ თბილისში ჩამოყალიბდა და დარეგისტრირდა არასამთავრობო ორგანიზაცია “აგრო-ბიზნეს კონსალტინგი” (ABC). 2003

წლის მაისიდან 2004 წლის მაისამდე, აგრო ბიზნეს კონსალტინგმა” პირდაპირი კონტრაქტით განახორციელა “ მსოფლიო ბანკის სა-კონკურსო გრანტების სისტემის ხელშეწყობი” – პროექტი, პროექტის დაფინანსება შეადგენდა 104185 გირვანქა სტერლინგს, იმედია მსგავსი პროექტები დაეხმარება ჩვენს სოფლის მეურნეობას და ეკონომიკის განვითარებას.

ამრიგად, კონსალტინგი ერთ-ერთ ნამყვან როლს თამაშობს ბიზნესში. ხშირად როდესაც ვჩნდებით გაურკვევლობაში ან რაიმე პრობლემის წინაშე, არაჩვეულებრივი გამოსავალია მივმართოთ კონსალტინგურ ფირმებს, რომელიც წარმოების ხელმძღვანელობას საშუალებას აძლევს მიიღოს ადექვატური და გრძელვადიანი გადაწყვეტილებები. ასევე მნიშვნელოვანია ჩავატაროთ (SWOT) ანალიზი, რომელიც საშუალებას მოგვცემს გამოვავლინოთ ჩვენი ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები, საშიშროებები და სხვა.

ფირმისთვის ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობს კვალიფიციური მუშახელი, ამისათვის საჭიროა მოვამზადოთ თითოეული მათგანი ტრენინგებით, და ავნიოთ ფირმის მაღალპროფესიონალიზმი.

ვფიქრობთ, რომ საკონსულტაციო ფირმის დახმარებით გამოვავლენთ ორგანიზაციის პრობლემებს, აღმოვფხვრავთ და გავაგრძელებთ წარმატებულ ხელმძღვანელობას, ასევე მოვამზადებთ მაღალკვალიფიციურ მუშახელს და ვიქნებით ყოველთვის წარმატების მწვერვალზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მენქიუ გრეგორი – ეკონომიკის პრინციპები, გამომცემლობა “ დიოგენე ”, თბილისი 2000წ.
2. Иванов А. - Агроткетинг и консалтинг “Дело” москва, 2001 г.
3. www.google/consulting.com



**რეგიონული სტატისტიკის ორგანიზაციის
საერთაშორისო გამოცდილება**

ნინო აბესაძე

ედ,თსუ ასოცირებული პროფესორი

რუსუდან ქინქლაძე

სტუ ასისტენტ-პროფესორი

ევროპის ყველა ქვეყანაში რეგიონული სტატისტიკის ორგანიზაციის სხვადასხვა სქემა მოქმედებს, რომელიც ქვეყნის სიდიდით, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული სტრუქტურით, საკანონმდებლო ბაზით, ინფორმაციის შეგროვების ტექნიკური შესაძლებლობის, დამუშავებისა და გადაცემის, აგრეთვე ქვეყანაში ზოგადად სტატისტიკის ორგანიზაციის მოდელითაა განპირობებული.

ევროპაში სტატისტიკის ორგანიზაცია მე-19 საუკუნიდან იწყება, მაგრამ კონფიდენციალობის შესახებ კანონის დაცვის იურიდიული პრინციპები და მოთხოვნები უფრო მოგვიანებით - პირველი მსოფლიო ომის შემდეგ იქნა მიღებული. კერძოდ, გერმანიის კანონმდებლობაში იგი სტატისტიკის ორგანიზაციის შესაბამისად მიღებულ იქნა მე-20 საუკუნის 20-იან წლებში, ირლანდიაში და იტალიაში 1926 წელს, უფრო მოგვიანებით კი საფრანგეთში. პროტუგალიაში ეს 1935 წელს ეროვნული სტატისტიკის უწყების შესახებ მიღებულ კანონთან ერთად მოხდა, ბელგიაში და ნიდერლანდებში - 1936 წელს. გაერთიანებულ სამეფოში სტატისტიკის კონფიდენციალობის საკითხი სხვადასხვა კანონებში იყო ასახული, რომელთაგან პირველი არის 1922 წელს მიღებული კანონი სრული გამოკვლევის შესახებ. მას მოყვა კანონი სტატისტიკური ობიექტების

ერთობლიობაზე სტატისტიკური დაკვირვების შესახებ (1936 წ) და სხვ.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კონფიდენციალობა სტატისტიკაში პირველად იქნა გამოყენებული 1945 წელს ესპანეთსა და ლუქსემბურგში, საბერძნეთში - 1956 წელს სტატისტიკის შესახებ მიღებულ აქტში. დანიაში სტატისტიკის სფეროში კამონმდებლობის დაცვის შესახებ კანონთა კრებული მხოლოდ 1966 წელს შემოვიდა, ხოლო სტატისტიკური მონაცემების კონფიდენციალობა ასახულ იყო 1978 წელს მიღებულ რეესტრების შესახებ კანონში, ხოლო მანამდე სტატისტიკის თვალსაზრისით საკანონმდებლო აქტებში არ მოიხსენიებოდა.

დიდ ბრიტანეთში არ არსებობდა ერთიანი კანონი, მაგრამ მოქმედებდა რიგი ცალკეული საკანონმდებლო აქტები, რომელთაგან უფრო მნიშვნელოვანი იყო სტატისტიკური ერთობლიობის ერთეულთა შესახებ დაკვირვება (1960 წ.), კანონი ვაჭრობის სტატისტიკის შესახებ (1947 წ), კანონი სოფლის მეურნეობის სტატისტიკის შესახებ (1978 წ) და ა.შ. ეს კანონები ვრცელდებოდა გამოკვლევის მეტად ფართო წრეზე, რომელთათვისაც ისინი აწესებენ და არეგულირებენ გამოკვლევის ჩატარების მეთოდებსა და საშუალებებს, დაკვირვების ერთობლიობის ერთეულებს, აღრიცხვას დაქვემდებარებულ ცვლადებს, ასევე სამართლებრივი ნორმების დაცვის და კონფიდენციალობის უზრუნველყოფის ღონისძიებებს. მაგრამ სტატისტიკური გამოკითხვის ჩატარებისას მოპოვებული მონაცემების აღრიცხვის წესის მიმართებაში კონფიდენციალობა რეგულირდება სახელმწიფო სტატისტიკური სამსახურის „მონაცემთა გამოყენების პრაქტიკის კოდექსით“, ხოლო უფრო დეტალური საკითხები - „კონფიდენციალურ მონაცემთა გამოყენების პრაქტიკის კოდექსით“.

დანიურმა სისტემა ინგლისურის მსგავსია, რამდენადაც მონაცემთა კონფიდენციალობის გამოყენება უპირატესად შინაგანი მემორანდუმით რეგულირდება. 1978 წლიდან არსებობს მონაცემთა კონფიდენციალობის სამართლებრივი საფუძვლები, რომელიც ასახულია სახელმწიფო რეგისტრის შესახებ კანონში. ამასთან მონაცემთა კონფიდენციალობა როგორც სტატისტიკური საქმი-

ანობის სისტემის პრინციპი, არც ერთ კანონში არ წერია, თუმცა 1966 წლიდან კანონი სტატისტიკის შესახებ მოიცავს მონაცემთა ჩამონათვალს, რომელიც საქმიანობის რიგ დარგებსა და სფეროებში - სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, საგარეო ვაჭრობა, ტრანსპორტი- შეგროვებას ექვემდებარება. ამასთან, სამათლებრივი ნორმების დარღვევისათვის დაწესებულია სასჯელი ჯარიმის სახით.

საფრანგეთში სტატისტიკის ინსტიტუტი (INSEE) და სხვადასხვა სამინისტროების სტატისტიკური სამმართველოები ვალდებულნი არიან წარადგინონ გამოკვლევის თავისი პროგრამები მინისტრის წინასწარი განხილვისა და მოწონებისათვის, ამასთან პასუხისმგებლობა მის ჩატარებაზე ეკისრება INSEE-ს, ხოლო კვლევის აქტუალობაზე - მინისტრს. არც ინსტიტუტს, არც მინისტრს უფლება არ აქვს გადაწყვეტილების მიღების უფლება სამათლებრივი ნორმის დაცვის მიღებული წესის ფარგლებში. ამისათვის საჭიროა გამოკვლევის წარდგენა სტატისტიკური იმფორმაციის ეროვნული კომიტეტისადმი (CNIS) და ყოველწლიური გამოკვლევის პროგრამებში გათვალისწინება, რომლის გამოქვეყნება ხდება „ოფიციალურ ჟურნალში“.

სტატისტიკის შესახებ ახალ კანონშია გათვალისწინებული ანალიტიკური სისტემა, რომელიც მიღებულია იტალიაში. 1926 წ. მიღებულმა კანონმა დააფუძნა სტატისტიკაში სამართლებრივი ნორმების დაცვის ზოგადი წესები, ხოლო ახალი კანონის შესაბამისად სამართლებრივი ნორმების დაცვა უნდა გავრცელდეს მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა კვლევა პრეზიდენტის ბრძანებით გამოქვეყნებულ ყოველწლიურ სტატისტიკურ პროგრამებშია გათვალისწინებული. უფრო მეტიც, რაც შეეხება ფიზიკურ პირებს, სავალდებულო სტატისტიკური კვლევა გათვალისწინებულ უნდა იქნას მინისტრთა საბჭოს მიერ. სამართლებრივი ნორმების დაცვის მოთხოვნა ძალაში რჩება, როცა კვლევა ადრე სპეციალურად მიღებული საკანონმდებლო აქტის საგანს წარმოადგენს.

ნიდერლანდებში სტატისტიკის ცენტრალური ბიუროს შეუძლია თითოეული ჩატარებული კვლევისათვის მოითხოვოს სამართლებრივი ნორმების დაცვა იმ პირობით, რომ გათვალისწინებული

კვლევა სტატისტიკის ცენტრალური კომიტეტის მიერ იყო მონონებული. კომისია პასუხისმგებელია გადანყვეტილების მიღებასა და კონსულტაციების ჩატარებაზე.

ბელგიასა და ირლანდიაში ცალკეული წინადადებები კვლევის ჩატარების შესახებ გადმოცემულია სამეფოს ან პრემიერ მინისტრის ფორმით. იგი პროცედურას ნახევარი წლით ან უფრო მეტი ხნით აგრძელებს. მაგრამ ბელგიის კანონმდებლობა ითვალისწინებს შერჩევითი დაკვირვების ჩატარების სპეციალურ წესს. ამასთან სამართლებრივი ნორმების დაცვის შესაბამისი ზოგადი მოთხოვნები შეიძლება გავრცელდეს შემთხვევით შერჩევებზეც, ანუ როდესაც შერჩევითი ერთობლიობის ყველა წევრს გააჩნია შერჩევაში მონაწილეობა მიღების ერთნაირი შესაძლებლობა. ასეთი სალი გადანყვეტილება არაოფიციალურად მიღებულ იქნა სხვა ქვეყნების მიერ, საფრანგეთისა და ლუქსემბურგის ჩათვლით.

ანალოგიური სიტუაციაა საფრანგეთსა და იტალიაში კვლევათა ყოველწლიურ პროგრამებთან მიმართებაში, თუმცა ოფიციალური მოთხოვნა არსებითად ფორმალობას წარმოადგენს.

1953 წლიდან დაწყებული გერმანიაში, ხოლო 1998 წლიდან - ესპანეთში, ყოველი ახალი კვლევის ჩასატარებლად სპეციალური კანონის მიღებაა საჭირო. ამ პროცედურის შესრულება შეიძლება გაგრძელდეს ნახევრიდან ან ორ წლამდე.

რეგიონის განვითარებაზე ზემოქმედების მიზნით შეიძლება მიღებულ იქნას სტატისტიკურ სამუშაოთა დეკონცენტრაციის გადანყვეტილება. სწორედ ამ მიზეზით მაგ., ნიდერლანდების მთავრობამ, სტატისტიკის ცენტრალური ბიუროს ნაწილი ჰააგიდან ჰაარლემში გადაიტანა, რომელიც ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს და შახტების დახურვის შედეგად დაზარალდა. ანალოგიურად მოიქცა ირლანდიის მთავრობა, 1994 წელს მიღებული გადანყვეტილებით სტატისტიკის ცენტრალური ოფისის ნაწილი განათავსა კორკში - ირლანდიის სამხრეთ სანაპიროზე. ასეთი რიგის პოლიტიკურ გადანყვეტილებას დადებითთან ერთად უარყოფითი შედეგიც ახლავს თან, რაც სტატისტიკოსთა უკმაყოფილებას იწვევს. ზოგჯერ იკვეთება სტატისტიკის ეროვნული უწყების პოლიტიკასთან შეუსაბამობის საკითხები.

ზოგიერთი ეროვნული სტატისტიკური უწყებისათვის მიზანშეწონილია ადამიანური რესურსის კონცენტრაცია ცენტრალურ ოფისში და საჭიროების შემთხვევაში ფართო მასშტაბიანი სტატისტიკური სამუშაოებისათვის დაიქირავოს აღმრიცხველები. ამ მხრივ აღსანიშნავია ლუქსემბურგი, დანია, ირლანდია, ნიდერლანდები, დიდი ბრიტანეთი და სხვ., რომელთა მთავარ პრინციპს გეოგრაფიული კონცეფცია წარმოადგენს, მიუხედავად რამდენიმე გამონაკლისისა; ზოგიერთ ქვეყნებში რეგიონული ოფისები რჩება ეროვნული ინსტიტუტის განკარგულებაში. მაგ., საფრანგეთის სტატისტიკის ეროვნულ უწყებას გააჩნია 24 რეგიონული ფილიალი საფრანგეთის პროვინციულ ქალაქებში, 1977 წლიდან ბელგიას აქვს რეგიონული ცენტრი ანტვერპენში, გენტლში და მონსეში, პორტუგალიაში 1991 წელს შეიქმნა ოთხი მცირე რეგიონული ოფისი, ხოლო 1993 წელს დაემატა კიდევ ერთი, საბერძნეთს აქვს 51 ოფისი, თუმცა თანამშრომელთა საერთო რიცხოვნება სამასს არ აღემატება, იტალიაში - სტატისტიკური უწყება განკარგავს 236 თანამშრომლის მქონე რეგიონულ ოფისებს, ესპანეთში თითქმის სტატისტიკის ეროვნული უწყების თანამშრომლების ორი მესამედი შედგება 50 პროვინციის თითო წარმომადგენელს პლიუს ორი ადგილობრივი წარმომადგენლისგან შემდგარი დელეგაციისაგან. ამასთან მისი რეგიონული ფილიალები არსებობენ სტატისტიკურ ოფისებთან ერთად, რომლებიც ესპანეთში „ავტონომიური საზოგადოებების“ სახელწოდებითაა. გერმანიაში სტატისტიკური სამუშაოების ფუნქციონირების ძირითად პრინციპს დეკონცენტრაცია წარმოადგენს. 16 ტერიტორიულ ერთეულზე განლაგებულ სტატისტიკურ ოფისებს გააჩნია ავტონომია და ფედერალურ ოფისს აქვს ინსტრუქციების მიცემის უფლება, იმ სამუშაოების ორგანიზების შესახებ, რომელიც ერთობლივი მუშაობისთვისაა აუცილებელი. კონკრეტულ ტერიტორიულ ერთეულზე ფილიალები აწარმოებენ თანამშრომელთა დაქირავებას ფედერალურ ოფისზე სამჯერ უფრო მეტ შტატზე. სამჯერ წლის განმავლობაში სტატისტიკის ეროვნული უწყების გენერალური დირექტორი სამუშაოს კოორდინაციის მიზნით ატარებს კონფერენციებს ყველა ტერიტორიულ ერთეულის სტატისტიკური ორგანოების, სამინ-

ისტროების, უწყებების, სამეცნიერო და საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლების მონაწილეობით.

საქართველოში სტატისტიკის ორგანიზაცია ეყრდნობა კანონს „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფო სტატისტიკის არსს, მიზანსა და პრინციპებს; სახელმწიფო სტატისტიკის ეროვნული სამსახურების სტატუსსა და ფუნქციებს; სახელმწიფო სტატისტიკის სისტემას და ანესრიგებს ქვეყნის ტერიტორიაზე სახელმწიფო სტატისტიკის წარმოებასა და გავრცელებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.

საქართველოში სტატისტიკის ორგანიზაცია მოიცავს სახელმწიფოებრივ, უწყებრივ და კერძო სტატისტიკას. სახელმწიფო სტატისტიკა ორგანიზებულია ქვეყნის სახელმწიფოებრივი აგებულებისა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის შესაბამისად. სტატისტიკური საქმიანობის კოორდინაციას საქართველოში ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი).

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის სტრუქტურულ ქვედანაყოფებს წარმოადგენენ — აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, ქ. თბილისის სტატისტიკური სამმართველო და სხვა ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულები. საუწყებო სტატისტიკა საქართველოს სამთავრობო დაწესებულებების მოთხოვნების შესაბამისად მათ შემადგენლობაში სპეციალური სტრუქტურული ერთეულის სახითაა წარმოდგენილი. მათი საქმიანობა ხორციელდება სამთავრობო დაწესებულების შესაბამისი უწყების მოთხოვნებისა და საქსტატის მეთოდოლოგიური ხელმძღვანელობით, რომელსაც სტატისტიკურ ინფორმაციას წარუდგენენ დადგენილი წესით, ე. ი. ისინი იმყოფებიან ორმაგ დაქვემდებარებაში.

საერთაშორისო ურთიერთანამშრომლობა საშუალებას იძლევა შევისწავლოთ სხვადასხვა ქვეყნის სტატისტიკური საქმიანობის ორგანიზაცია და მოხდეს მათი გამოცდილების შესაბამისად საქართველოსათვის მოსარგები რეკომენდაციების გათვალისწინება რეგიონული სტატისტიკის სრულყოფასა და განვითარებისათვის.



ზურაბ ლიპარტია - 65

რუსუდან ქუთათელაძე

სტუ ბიზნესის ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი, ემდ, სრული პროფესორი

ევგენი ბარათაშვილი

სტუ ბიზნესის ინჟინერინგის ფაკულტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ემდ, სრული პროფესორი

კარლო ლურნკაია

სტუ ბიზნესის ინჟინერინგის ფაკულტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის დეპარტამენტის საბაკალავრო პროგრამების ხელმძღვანელი, ემდ, სრული პროფესორი

გიორგი ცაავა

ემდ, სტუ ბიზნესის ინჟინერინგის ფაკულტეტის საბანკო ტექნოლოგიების მართვის დეპარტამენტის სრული პროფესორი

რევაზ შენგელია

საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალ „ეკონომიკის“ მთავარი რედაქტორი, ედ, პროფესორი

პროფესორი ზურაბ ლიპარტია დაიბადა 1947 წელს ს. რუხ-ში (ზუგდიდის რ.). 1964 წელს წარმატებით დაამთავრა საშუალო სკოლა, 1966 წელს ნიკო ნიკოლაძის სახელობის დიდი ჯიხაიშის (სამტრედიის რაიონის) ტექნიკური ბუღალტერ-მგეგმავის კვალიფიკაციით, 1972 წელს კი ქ. ლენინგრადის (ამჟამად სანქტ-პეტერბურგის) სატყეო-ტექნიკური აკადემია ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაციით.

ბატონ ზურაბ ლიპარტიას დაცული აქვს **საკანდიდატო (1993) და სადოქტორო დისერტაციები(1999)**, ქ. სანკტ-პეტერბურგის ეკონომიკისა და ფინანსების სახელმწიფო უნივერსიტეტში.

1972-73 წლებში მუშაობდა ქ. ლენინგრადის საკავშირო ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობის სამეცნიერო-საწარმოო ინსტიტუტის მართვის ლაბორატორიის უფროსი ინჟინრის თანამდებობაზე, სადაც გახდა ეკონომიკის სამეცნიერო ხარისხის მაძიებელი.

1973-1987 წლებში გვევლინება საკავშირო ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის სამინისტროს საქართველოს „ენგურჰესმშენი“-ს სამრეწველო საწარმოთა გაერთიანების გენერალური დირექტორის მოადგილე ეკონომიკის დარგში. მუშაობის პერიოდში გამოვლინდა მისი პროფესიული და კომპეტენტური საქმიანობის მაღალი უნარი. მაღალი კვალიფიკაციისა და პრაქტიკული გამოცდილების მქონე ეკონომისტი ზურაბ ლიპარტია 1987 წლის სექტემბრიდან დღემდე **სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის** ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას წარმატებით ახორციელებს, სადაც განვლო გზა მეცნიერ-მუშაკიდან სრული პროფესორის აკადემიურ თანამდებობამდე „ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის“, „ფინანსებისა და საბანკო საქმის“ მიმართულებით. არის ფაკულტეტის მაგისტრატურისა და დოქტორანტურის პროგრამების კოორდინატორი.

ბატონი ზურაბი, საკუთარ ქვეყანაში **იძულებით გადაადგილებული პირის** მძიმე სტატუსის მატარებელი, სხვადასხვა პერიოდში, აქტიური შეთავსებით სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას ანხორციელებს **საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში** 1998 წლიდან დღემდე დოცენტის, პროფესორის თანამდებობაზე, ხოლო 2009 წლიდან დღემდე მონვეული სრული პროფესორის თანამდებობა უკავია სტუ-ს ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტზე, არის ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამის „საბუღალტრო აღრიცხვის მოდულის“ ხელმძღვანელი.

სრული პროფესორი ზურაბ ლიპარტია 2007-2012წწ. პარალელურად აქტიურ სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას წარმატებით ანხორციელებდა ახალციხის სახელმწიფო-სასწავლო უნივერსიტეტში (ყოფილი სსიპ- ახალციხის ინსტიტუტი), სადაც ბიზნესის

ადმინისტრირების ფაკულტეტზე ხელმძღვანელობდა „აღრიცხვა, კონტროლისა და აუდიტის მენეჯმენტის“ **სამაგისტრო** და „საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმის“ საბაკალავრო პროგრამებს.

ბატონი ზურაბი, სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად აქტიურ სამეწარმეო-ეკონომიკურ საქმიანობას ეწევა. 1997-2008 წლებში მოპოვებული აქვს „აუდიტისა“ და „პროფესიონალი ბუღალტრის“ - საერთაშორისო სერტიფიკატები.

საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი - **აკადემიკოსი ზურაბ ლიპარტია** სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას წარმართავს: ა) საქართველოს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური სამომავლო განვითარების გზების (პრიორიტეტების) გამოვლენა-პროგნოზირებისა და ბ) ეროვნული აღრიცხვა-ანგარიშიანობისა და აუდიტის (კონტროლის) სისტემის საერთაშორისო სტანდარტების ინტერპრეტაციებისა და კორპორაციის (სანარმოს) ფინანსური მენეჯმენტის სრულყოფის სტრატეგიების შემუშავების მეთოდურ-პრაქტიკული სახელმძღვანელოების გამოსაცემად.

ბატონი ზურაბი არის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი რამოდენიმე **სადისერტაციო საბჭოს წევრი**, მისი ხელმძღვანელობით წარმატებით დაცული იქნა 5 სადოქტორო დისერტაცია ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებით. იყო 12 სადოქტორო დისერტაციო ნაშრომის რეცენზენტი (ოპონენტი). ასევე მისი ხელმძღვანელობით ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობების: ფინანსებისა და აღრიცხვა-აუდიტის მენეჯმენტის მიმართულებით მომზადდა 32 მაგისტრი (მათ შორის, 12- ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში), რომლებიც დასაქმებულნი არიან საქართველოს სხვადასხვა საფინანსო-საკონტროლო სფეროებში.

პროფესორ ზურაბ ლიპარტიას მისი **სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 25 წლიანი** პერიოდის განმავლობაში 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული მშობლიურ და რუსულ ენებზე. მათ შორის: 3 მონოგრაფია, 12 სახელმძღვანელო (7

თანავტორობით), კერძოდ: „ფირმის ეკონომიკა და ბიზნესგეგმა“ (1995), „აუდიტის საფუძვლები“ (1997), „სტრატეგიული დაგეგმვა“ (1998), „ეკონომიკური ანალიზი“-2 წიგნად (2003, 2007 წწ.), „ფინანსური მენეჯმენტი“ (2006), „კორპორაციული ფინანსების მართვა“ (2009, 2012), „საბუღალტრო საქმე“ ტ. 1 (2008, 2010), „მმართველობითი აღრიცხვა და შიდა კონტროლი“ (2011), „ფინანსური კონტროლი“ (2012) და სხვა.

პროფესორ ზურაბ ლიპარტიას სამეცნიერო **რედაქტორობით** და **რეცენზირებით** გამოცემულია აღრიცხვა-აუდიტის და ფინანსების მიმართულებით რამოდენიმე სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურა.

სრული პროფესორი ზურაბ ლიპარტია არის რამოდენიმე სამეცნიერო შრომების კრებული საგამომცემლო-სარედაქციო საბჭოს წევრი, საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი ჟურნალების: „ეკონომიკა“; „სოციალური ეკონომიკა-XXI საუკუნის პრობლემები“; „ბუღალტრული აღრიცხვა“; „გადასახადები“-ს სარედაქციო კოლეგიის წევრი.

ბატონი ზურაბი იუბილარია, 65 წელიწადი მძიმე შრომაში, ძიებისა და შემოქმედებით ბრძოლაში აქვს გატარებული. თავს ბედნიერად თვლის, ჰყავს მეუღლე, შვილები, მრავალგზის ბაბუაც არის და თავისი მოკრძალებული წვლილი შეაქვს ქვეყნის ერთიანობისა და ეკონომიკური განვითარებისათვის ბრძოლაში, სანუკვარი ოცნების, მშობლიურ აფხაზეთში ღირსეულად დაბრუნების აღსასრულებლად.

ვულოცავთ ბატონ ზურაბ ლიპარტიას დაბადების **65** წლის თავსა და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის **25** წლის იუბილეს, ვუსურვებთ ღვაწლმოსილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს ჯანის სიმრთელეს, ოჯახურ ბედნიერებას, წარმატებებს სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობაში და გამთლიანებულ საქართველოში ხანგრძლივ ცხოვრებას.



SUMMARY



In the article of **Jana Balakhashvili: “The material and technical basis of healthcare as a guarantee of population’s health”** is discussed the network of hospitals and polyclinics in Georgia, their capacity and the number of beds. It is said in the article that the network of Medical Clinics are reducing in Georgia and the number of beds as well.

According with the reform implemented by our government which provides only 7800 beds, it seems to be reducing. It is not conformable neither European standards nor the health dynamics of Georgian population. The amount of sick people are increasing constantly nowadays.

Furthermore, It is said in this article that the policy of arrangement Georgian healthcare with its material and technical basis is not correct and it should be improved immediately.

* * *

რევაზ შენგელიას, ჟუჟუნა ნიკლაური-შენგელიას, ნათია შენგელიას სტატიაში **“საინვესტიციო აქტიურობაზე მოქმედი ფაქტორები და მათი შეფასება”**, გაანალიზებულია საინვესტიციო საქმიანობის დონე, შედარებულია წლების მიხედვით 5 ფაქტორის გათვალისწინებით: ანაზრები, სესხები, ინფლაცია, საგადასახადო განაკვეთები და საინვესტიციო თავისუფლება. წლების მიხედვით ამ ფაქტორების ანალიზის შედეგად მიღებული შემაჯამებელი კოეფიციენტები იზრდება თანდათან ზოგადად გარდამავალ ქვეყნებში, რადგან თვითონ არ გააჩნიათ რა საკმარისი რესურსები, მათ სჭირდებათ და უნდა მოიზიდონ მეტი უცხოური ინვესტიციები. უფრო მეტიც, ტენდენცია კლებადია მაღალ- განვითარებულ ქვეყნებში, როგორცაა ამერიკის შეერთებული შტატები და გერმანია, რადგან ისინი არ საჭიროებენ და არ არიან სასიცოცხლოდ დამოკიდებულნი საგარეო რესურსებზე. გარდამავალ ქვეყნებში უნდა განხორციელდეს უფრო მეტი ინოვაციური და ეფექტური რეფორმები, აუცილებელია ბიზნესის ხელშეწყობა (მაგ. „ოქროს

სია“). ამ ქვეყნებში უნდა იყოს უფრო ლიბერალური საგადასახადო სისტემა და პოლიტიკა და ასე შემდეგ, რაც ხელს შეუწყობს ინვესტიციების შემდგომ უფრო აქტიურად მოზიდვას.

* * *

В статье «**формирование политики управления инвестициями индустрии туризма**» авторы Валери Рамишвили и Наталия Джиджавадзе отмечают, что региональная инвестиционная стратегия должна развиваться по следующим направлениям:

Последовательность децентрализации инвестиционных процессов, обоснованных на многообразии собственности и повышения роли частного капиталовложения производства, проведение со стороны государства антимонопольной деятельности.

Государственная поддержка производства за счет централизованной инвестиции.

Существенное расширение практики общего (частного) инвестиционного проекта коммерческого финансирования государства.

Использование части централизованных ресурсов для особо эффективных проектов и для реализации объектов малого бизнеса.

Возможное уменьшение в экономике компенсации финансирования бюджетной инвестиции путем расширения страхования и поддержка инвестиционных проектов со стороны государства гарантиями (гарантиями могут быть ценные бумаги, выпускаемые частным инвестором).

Обеспечение нормативно- правового и экономического условия в разных финансовых институтах для стимулирования вкладчиков.

В мероприятиях для усовершенствования нормативно-правовой базы инвестиционной деятельности должно подключаться освобождение от налогов и осуществление инвестиционных вложений для развития туристической индустрии.

* * *

უწყუნა ნიკლაური-შენგელიას, რევაზ შენგელიას და ნათია შენგელიას სტატიაში «კომპანიის მომგებიანობის, გადახდისუნარიანობისა და ლიკვიდურობის ანალიზი» გაანალიზებულია

SUMMARY

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება იმის გათვალისწინებით, რომ გაყიდვები, მოგების მარჟა და ფულადი ნაკადები წარმოადგენს ნებისმიერი ბიზნესის „სასიცოცხლო არტერიას“, ისინი დახასიათებულია დეტალურად. ფინანსურ ანგარიშგებას მრავალი მომხმარებელი ყავს. თითოეულ მათგანს, მათი ინტერესებიდან გამომდინარე, სჭირდება ფინანსური ინფორმაცია ეფექტური გადაწყვეტილების მისაღებად. მაგალითად, ინვესტორებს აინტერესებთ ღირს თუ არა აქციების შეძენა ან გაყიდვა, ან სულაც ინვესტიციის განხორციელება ამა თუ იმ კომპანიაში. დასაქმებულებს აინტერესებთ კომპანიას გააჩნია თუ არა სტაბილურად საკმარისი ფულადი რესურსები ხელფასის გასაცემად, ბანკები ინფორმაციას იყენებენ კომპანიის მდგომარეობის შესაფასებლად, შეუძლია თუ არა სანარმოს სესხისა და მისი პროცენტების დროულად დაფარვა. ამიტომაც გაანგარიშებულ იქნა მომგებიანობის, მოკლევადიანი და გრძელვადიანი გადახდისუნარიანობის და ლიკვიდურობის, ეფექტურობისა და ინვესტორთა კოეფიციენტები, რომლის დახმარებითაც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები იღებენ სწორ ეკონომიკურ გადაწყვეტილებას. მონაცემთა ინტერპრეტაციებიდან ჩანს, რომ ფინანსურ კოეფიციენტთა საერთო ანალიზი კარგი პრაქტიკული ინსტრუმენტია კომპანიის საქმიანობის ფინანსური შედეგის შესაფასებლად.

* * *

Namik Isaev – “On the methods of establishing a solution of economic problems in oil production”. In this article there are marked the mistakes of an operating method of the decision of economical tasks. The new approach to the decision of these problems is proposed. It is indicated that, such problems as the establishment of decisions of sector problems, and also a level of development of an oil science, expediently proceeds with influences operating in production of material.

* * *

Besik Futkaradze, Revaz Keldishvili - Uniform transport system of Georgia and ports. In the article the uniform transport system of Georgia is discussed and in going system separate conduct transport. It is anal-

ysed the building Marabda-Akhalkalaki-Kartsakhi line. The conclusion is drawn on that that input in action of lines won't make negative impact on indicators of ports.

* * *

Liana Grigorian - Operational audit of the effectiveness of innovative development of business entities. Realizing audit of innovation process is necessary to provide the possibility of auditing different phases or stages of passing innovation idea to its practice implementation. In other words ongoing auditing of life cycle of each innovation should be taken into account particularly on each stage. With this life cycle of innovation process it is understood the period of time which has begun with performing theoretical and applied researches and has finished with moment when innovation is exhausted in market.

* * *

В статье **Манана Самадашвили** «Некоторые аспекты управления стресса» рассмотрены вопросы, касающиеся программ управления стресса, которые являются важными элементами в процессе управления персоналом. Организационные программы управления стресса способствуют эффективной работе организации. В данной работе также рассмотрены критерии, элементы и характеристики программ.

* * *

В статье **Бадри Рамишвили** «Современные организационные структуры» кратко описан процесс возникновения и становления организационных структур. Автор особенное внимание уделяет Партиципативным, Эдхократическим, Сетевым и Виртуальным структурам, причинам способствующим ихнему возникновению и развитию. В научном труде также рассмотрен вопрос создания межфункциональных автономных рабочих групп, как базиса для развития многомерных организаций. В заключении, автор дает рекомендацию, что для Грузии особенно интересным является развитие Виртуальных организаций, с помощью которых возможно быстрое проникновение в эпицентр мировой экономической жизни.

* * *

Irma Chkhaidze – “Innovative Management as the Basis of Creating Social Wellbeing” The present article represents the two leading companies in the world “Gillette”, “Ford Motor”, which, on the one hand, try to retain the customers with the production manufactured in order to create “personal wellbeing” and to increase their number by means of designing innovative business projects, and on the other hand, they will provide the production of “individual” wellbeing for their customers or future customers.

Here are formulated the objectives of the founders of well-known innovators of “Gillette” and “Ford Motor” companies, King Camp Gillette and Henry Ford, moving onto innovative stages and determining innovative efficiency for eliminating the periodical problems taking place during not only foundation but also during their activities.

On the innovative stage of XXI century, it is defined here the technological conditions of “Gillette” and “Ford Motor” companies, which have serve to demands of the permanent and future customers which is the basis of creating “personal wellbeing”.

* * *

Mzia Moiscrapishvili, Tamar Kamkhadze – The role of consulting in business. The article is focused on consulting, that represents such variety of intellectual service, which is connected to the solution of various complex problems arising in the field of enterprise management and organizational development.

The article is focused on the opinion of world known huge companies and the ideas about the field of service suggested by them. Existence of competitiveness between consulting companies is in formation stage. In Georgia consulting service is being implemented at the state level mainly and programs are held to improve Economic situation of the country.

We believe that with the help of a consulting company, organization problems can be revealed and eliminated, and will continue successful management, will train highly qualified workers and always be at the peak of success.



შპს ჟურნალი „ეკონომიკა“
მისამართი: თბილისი – 0171, მ. კოსტავას ქ. 63.
ტელ: 233-50-23, 599 56-90-78.
economics.bpengi.com
E-mail: economica_2008@yahoo.com
E-mail: economica_1918@yahoo.com

ООО журнал «ЭКОНОМИКА»
Адрес Тбилиси - 0171, ул. М. Костава 63
Тел. 233-50-23, 599 56-90-78
economics.bpengi.com
E-mail: economica_2008@yahoo.com
E-mail: economica_1918@yahoo.com

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბიზნესის ინჟინერინგის ფაკულტეტი, ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის დეპარტამენტი
გადაეცა ასაწყობად 25.12.2012წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 30.12.2012წ.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,1